

# 1927 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი

10 მარტი, 2025



№1 [2025]



## სამეცნიერო კონფერენცია

ვინ დაჯილდოვდა ოქროს მედლით საფაკულტეტო კონფერენციაზე?

3 გვ.

საქართველოს აქვს რესურსი – მსოფლიო ბაზარზე მწვანე წყალბადით წარსდგეს

4 გვ.



## სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – „თსუ 107“

ლონისძიებაზე მოხსენებით 98 სტუდენტი წარსდგა

6 გვ.




## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 107 წლისაა!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 107-ე წლისთავთან დაკავშირებით, თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა თსუ-ს პანთეონში უნივერსიტეტის დამფუძნებლების საფლავები ყვავილებით შეამკეს.

## თსუ-ს მეცნიერები კვლავ ლიდერობენ

2 გვ.



ივანე ჯავახიშვილის არქივში ახლად აღმოჩენილი უცნობი დოკუმენტი და მეცნიერის გასათვალისწინებელი მოსაზრებები მოსახლეობის აღრიცხვის პროგრამების შედგენისას

3 გვ.



## სტუდენტური ფურცელი

5-12 გვ.



თსუ-მ საერთაშორისო შემეცნებითი CERN/IPPOG მასტერკლასების 2025 წლის სესიების მეორე შეხვედრას უმასპინძლა

11 გვ.



KM3NeT ნეიტრინულმა ტელესკოპმა აღმოაჩინა ყველაზე მაღალი ენერჯიის ნეიტრინო, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა

4 გვ.



ქართული ჩვეულებითი (სახალხო) სამართლის მეცნიერული კვლევის მებაღავრე

15 გვ.



gazeti.tsu.ge

# 2024 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, სახელმძღვანელოებისა და მაგისტრანტთა კვლევითი პროექტების პრეზენტაცია

20 თებერვალს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა 2024 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, სახელმძღვანელოებისა და მაგისტრანტთა კვლევითი პროექტების პრეზენტაცია. ღონისძიებაზე მომხსენებლებმა წარადგინეს გასული წლის განმავლობაში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ კონკურსების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ნაწილი.

დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის სახელმძღვანელოს — „საქართველო მსოფლიო ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში“, ასევე ასოცირებული პროფესორის კახა ქეცბაიას სახელმძღვანელოს — „სოციოლოგიის შესავალი“ და ასოცირებული პროფესორის ნათია კუპრაშვილის სახელმძღვანელოს — „ონლაინ-მედია“.

კვლევის შედეგები წარმოადგინეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებმა: დიმიტრი შავლობაშვილმა „2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართვე-



ლოში: საზოგადოებრივი მოლოდინების შესწავლა ქალაქ გორის მაგალითზე“, თამარ კირკიტაძემ „შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზები გურიის რეგიონის მაგალითზე და მათი ასახვა ადგილობრივ მედიაში“ და ვანო გომუ-

რაშვილმა „ინკლუზიური უმაღლესი განათლების პოლიტიკა საქართველოში: უნივერსიტეტების შედარებით ანალიზი და ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადობა“.

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებიდან კი წარმოდგენილი იყო 4 კვლევა:

- „საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ელექტრონული ატლასი“. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე; თანახელმძღვანელი: პროფესორი თამარ დოღბაია;

- „საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები: ელექტორალური ქცევის რეგიონალური თავისებურებები“. ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგასაძე;

- „საქართველოს ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება სკოლებში: მიზნები და შედეგები“. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე;

- „სოციალური მუშაობის თავისებურებები საქართველოში“. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე.

## ქრონიკა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტრადიციულად, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2024 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტით დაფინანსების კონკურსის ლიდერია. კონკურსში გამარჯვებული 111 პროექტიდან 31 პროექტი (დაახლოებით გამარჯვებული პროექტების 28%) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებს ეკუთვნით.

\*\*\*



თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ქართველი დიპლომატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის აკაკი ჩხენკელის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით მომზადებული კრებულის პრეზენტაცია გახსნა.

„ჩვენ შეგნებულად გადავწყვიტეთ ამ კრებულის პრეზენტაცია 25 თებერვალს, რადგან ეს დღე არის სიმბოლური აკაკი ჩხენკელის ცხოვრებაში და, მეორეს მხრივ, ეს არის დღე, რომელიც საქართველოს ისტორიაში აღარასდროს უნდა განმეორდეს. 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა ჩვენი ქვეყანა დაიპყრო და

70-წლიან ტყვეობაში ამყოფა, რომელმაც შეაფერხა ჩვენი ქვეყნის განვითარება. ამ კრებულის გამოცემა, ასევე, ის აქტივობები, რომელიც მისი 150 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა, არის დაფასება დიდი პოლიტიკური მოღვაწისა“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

გამოცემა აკაკი ჩხენკელის პირად დღიურებსა და საქმიან წერილებს მოიცავს და ის თსუ ბიბლიოთეკამ მოამზადა.

ღონისძიებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე, ქ. თბილისის საკრებულოს წევრი კახაბერ ლაბუჩიძე, პროფესორები, სტუდენტები და მონვევული სტუმრები ესწრებოდნენ.

ღონისძიების ფარგლებში მოენყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო თსუ ბიბლიოთეკასა და საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალა.

\*\*\*

თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია ცუკუბას (იაპონია) უნივერსიტეტის დელეგაციას შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით.

თსუ-ს რექტორმა იაპონელ კოლეგებთან აკადემიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ჯაბა სამუშიამ სტუმრებს ინფორმაცია მიაწოდა თსუ-ში იაპონური ენისა და, ზოგადად, იაპონისტიკის სწავლების თაობაზე.

ცუკუბას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა იუსუკე კაჯიამამ თსუ-სთან მომავალი თანამშრომლობის მიზნით მემორანდუმის გაფორმებაზე ისაუბრა და 2 პროექტის პრეზენტაცია გააკეთა. პროექტის ფარგლებში განხორციელდება სტუდენტური მობილობები, ჩატარდება ერთობლივი სამეცნიერო კვლევები.

შეხვედრას თსუ-ს რექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ-



ტეტისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ, პროფესორებმა და სტუდენტებმა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადების დღესთან დაკავშირებით მისი საფლავი ყვავილებით შეამკეს.



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით აკაკი შანიძის დაბადებიდან 138 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა გაიმართა, სადაც ქართველმა მეცნიერებმა მოხსენებები წაიკითხეს.

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დარეჯან თვალთვაძის თქმით, აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა უკვე 38-ე წელია იმართება. „აკაკი შანიძის გარდაცვალების შემდეგ, ყოველ წელს, ტარდება ეს ღონისძიება, ვიკრიბებით ქართველი ენათმეცნიერები და პატივს მივავებთ მის ხსოვნას. იმედია, ამ ტრადიციას მომავალი თაობაც გააგრძელებს და ყოველწლიურად წარმოადგენენ საინტერესო მოხსენებებს და კვლევის შედეგებს“, – განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ.

საჯარო სხდომაზე მოხსენება წაიკითხა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების მონაწილეებს. „ძალიან მიხარია, რომ დღეს კვლავ არის შეკრებილი ის ხალხი, რომელიც აგრძელებს ტრადიციას, კვლავ მართავს საჯარო სხდომას და იხსენებს აკაკი შანიძეს“, – აღნიშნა მზექალა შანიძემ.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო აკაკი შანიძის ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების ახალი გამოცემა, რომელიც თსუ გამომცემლობამ დაბეჭდა.



# პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია – „თსუ 107“

თამარ ღალიანი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისადმი მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია „თსუ 107“ გაიმართა.

კონფერენცია თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ გახსნა და უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, კონფერენცია მუდმივმოქმედი და ეძღვნება თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას. ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონფერენცია თსუ-ში უკვე მესამედ ტარდება.

„კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითია. მასში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, რომლებმაც სამეცნიერო კვლევების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გაგვიზიარეს. პროფესორებმა კონფერენციაზე სრულიად ახალი მიდგომები, ხედვა წარმოადგინეს სხვადასხვა მეცნიერული საკითხების მიმართ. ვიმედოვნებთ, რომ ეს კონფერენცია ხელს შეუწყობს ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებას და ჰუმანიტარული მეცნიერებებით ახალგაზრდა მეცნიერთა დაინტერესებას“, – განაცხადა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ.

თემატიკა, რომელსაც მეცნიერთა



მოსხენებები შეეხებოდა, მოიცავდა ისტორიას, ფილოლოგიას, ეთნოლოგიას, არქეოლოგიას, ანთროპოლოგიას, ფილოლოგიასა და ხელოვნებათმცოდნეობას.

კონფერენციის დიაპაზონზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასზე წარმოდგენილი მოსხენებები სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნების ავტორთა ნაწარმოებების, ისტორიის საკითხების კვლევებს მოიცავდა: „იერუსალიმის პატრიარქ თეოფანის III-ის როლი მადრიდში ნიკოფორე ირბახის დიპლომატიური მისიის მომზადებაში“ (მომხსენებელი: მურმან პაპაშვილი); „პარაკლიტონის“ ქართული რედაქციები“ (მომხსენებელი: ნესტან სულავა); „ზურაბ ავალიშვილი – 150 (შტრიხები პორტრეტისათვის)“ – (მომხსენებელი: ნიკოლოზ ჯავახიშვილი); „სიყვარულის პლატონური კონცეფცია და სიმბოლისტური პარადიგმები“ (მომხსენებელი: თამარ პაიჭაძე); „რუსული ჯარი კავკასიაში: რუსი მწერლების შეფასებები და ისტორიები“ (მომხსენებელი: დალი კანდელაკი); „ონომასტიკის შეცვლის ექტრალინგვისტური და ლინ-



გვისტური ასპექტები ცხინვალის რეგიონში“ (მომხსენებელი: ცირა ბარამიძე); „ხალხურ დღესასწაულთა სახეცვლილებები და ფუნქციები თანამედროვეობაში“ (მომხსენებელი: ქეთევან ხუციშვილი); „ტრადიციული სოლიდარობის ფორმები სვანეთში ძველად და ახლა“ (მომხსენებელი: როზეტა გუჯეჯიანი); „სათნობათა ეთიკის თანამედროვე რეკონსტრუქცია – ჯ. ე. მ. ენსკომბი“ (მომხსენებელი: ანასტასია ზაქარიაძე) და სხვა...

ლონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ ნინო გვენეტაძემ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი რუსუდან ცანავა, პროფესორები: ანასტასია ზაქარიაძე და მანანა გელაშვილი უნივერსიტეტის ოქროს მედლებით დააჯილდოვა და მადლობა გადაუხადა მათ თსუ-ში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ თითოეული მათგანის შესახებ ისაუბრა და კონფერენციის მსმენელებს

მათი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი დეტალები შეახსენა.

დაჯილდოებულმა პროფესორებმა დიდი მადლობა გადაუხადეს თსუ-ს ადმინისტრაციას, კოლეგებს და მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოებას აღიარებისა და დაფასებისათვის.

„ეს ჯილდო ჩემთვის ბევრს ნიშნავს... უნივერსიტეტი ჩემთვის, პირველ რიგში, თაობათა ესტაფეტაა: წინაპრებისგან მიღებული მომავალ თაობებს ღირსეულად უნდა გადაეცეთ! უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი იოსებ ყიფშიძე ჩემი დიდი პაპა იყო და ამიტომ გარკვეული პასუხისმგებლობაც მეტი მაქვს უნივერსიტეტის მიმართ და, ალბათ, სიყვარულიც“, – აღნიშნა პროფესორმა მანანა გელაშვილმა.

თსუ-ს ოქროს მედლით დაჯილდოება პროფესორ ანასტასია ზაქარიაძისთვის მოულოდნელი და სასიხარულო იყო. როგორც თვითონ განაცხადა, ამ ჯილდოს მიღებაში წვლილი მის კოლეგებსაც მიუძღვით, ვისთან ერთადაც ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. „უნივერსიტეტი ჩემი სახლია, სადაც ყოველთვის მოვიჩქარი“, – აღნიშნა პროფესორმა ანასტასია ზაქარიაძემ.


თსუ-ს პროფესორების დაჯილდოების შემდეგ გაიმართა სექციური მუშაობა, სადაც წარმოდგენილი მოხსენებები მეცნიერთა უფროსი თაობის წარმომადგენელთა შეხედულებების და მოსაზრებების გაზიარების საუკეთესო საშუალება იყო.

## ივანე ჯავახიშვილის არქივში ახლადაღმოჩენილი უცნობი დოკუმენტი და მეცნიერის გასათვალისწინებელი მოსაზრებები მოსახლეობის აღრიცხვის პროგრამების შედგენისას

6160 ხაჯალია

ღმოჩენილია ივანე ჯავახიშვილის ბოლომდე ჯერაც გადაუმუშავებელ არქივში ძვირფასი მასალა დემოგრაფიული მეცნიერების ფორმირებასა და განვითარებაზე. როგორც თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის მზია შელიას ნაშრომიდან – „ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოში დემოგრაფიული მეცნიერების ფორმირებასა და განვითარებაში“ – ვიგებთ, ივანე ჯავახიშვილის არქივში დიდძალი მასალაა, რომლის გადამუშავება და გამოცემა დიდმა ისტორიკოსმა ვერ მოასწრო. პროფესორ მზია შელიას მიერ მიკვლეული მასალების საფუძველზე დგინდება, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია და მოსაზრებები გასათვალისწინებელია მოსახლეობის აღრიცხვის პროგრამების შედგენისას.


„ივანე ჯავახიშვილის როლი ისტორიული დემოგრაფიის და, ზოგადად, დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ფორმირებაში განუზომელია. დიდია მისი წვლილი დემოგრაფიული წერილობითი ძეგლების მოძიებაში, აღწერა-ანალიზსა და მეცნიერულ შეფასებაში. ივანე ჯავახიშვილმა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დაასაბუთა საქართველოში მოსახლეობის პერიოდული (7 წელში ერთხელ) აღწერის ტრადიციულობა, შეისწავლა მოსახლეობის აღწერის კონკრეტული მიზნები, ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები, დაასაბუთა აღწერის პროგრამის არსებობა და გამოავლინა მოსახლეობის არასწორი



აღრიცხვის შემთხვევაში დამნაშავეთა სამართლებრივი სასჯელის მაშინდელი ნორმები. ისტორიკოსმა შეაფასა ომების გავლენა რეგიონის მოსახლეობის გადაადგილებაზე და, შესაბამისად, დემოგრაფიულ კლუბზე. მეცნიერმა ასაკი განიხილა, როგორც დემოგრაფიული კატეგორია და არსებულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დააზუსტა ადამიანის სასიცოცხლო ციკლის პერიოდიზაციის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, გვიჩვენა რა – როგორი იყო ნაშუსულში ქართული საზოგადოების დამოკიდებულება შვილიანობისადმი“, – აღნიშნავს პროფესორი მზია შელია თავის ნაშრომში. მიუხედავად დემოგრაფიული წერილობითი ძეგლების სიმწირისა და ფრაგმენტულობისა, ივანე

ჯავახიშვილს ეკუთვნის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენის პირველი მცდელობა მე-13 საუკუნეში. იგი უშუალოდ მონაწილეობდა თანამედროვე მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვის მონესრიგებაში. მის საარქივო მასალაში აღმოჩნდა მკვლევართათვის მანამდე უცნობი დოკუმენტი, რომელშიც 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალის კრიტიკული ეთნოდემოგრაფიული ანალიზია.

„დოკუმენტში დასაბუთებულია, რომ მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის დამახინჯებულმა აღრიცხვამ შეიძლება ქვეყანა პოლიტიკურად გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს. ერთი მხრივ, ეს ვლინდება ტერიტორიული



„**მის საარქივო მასალაში აღმოჩნდა მკვლევართათვის მანამდე უცნობი დოკუმენტი, რომელშიც 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალის კრიტიკული ეთნოდემოგრაფიული ანალიზია.**“

საზღვრების დამახინჯებაში, მეორე მხრივ, ახალი ეკონომიკური სისტემის მაღალ სოციალურ ფასში. მისი მოსაზრებები დღესაც მეტად აქტუალური და გასათვალისწინებელია მოსახლეობის აღრიცხვის პროგრამების შედგენისას“, – ამბობს მზია შელია.

მზია შელიას ნაშრომი – „ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოში დემოგრაფიული მეცნიერების ფორმირებასა და განვითარებაში“ – ახლახანს გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალში – „მოამბე“. ჟურნალი „მოამბე“ გამოდის ინგლისურ ენაზე და ვრცელდება მთელ მსოფლიოში. მას მინიჭებული აქვს მაღალი რეიტინგის იმპაქტ-ფაქტორის კოეფიციენტი.



# KM3NeT ნეიტრინულმა ტელესკოპმა აღმოაჩინა ყველაზე მაღალი ენერგიის ნეიტრინო, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა

მაია ბორაძე

KM3NeT საერთაშორისო თანამშრომლობის ნეიტრინულმა ტელესკოპმა ხმელთაშუა ზღვის სიღრმეში რეკორდული ენერგიის, დაახლოებით 200 პეეკოსმოსური ნეიტრინო აღმოაჩინა. ამ სიახლის შესახებ პირველად ითქვა 12 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ვებინარზე, რომელიც KM3NeT საერთაშორისო თანამშრომლობამ მოაწყო. ვებინარის მიზანი იყო საზოგადოებისთვის გაეცნოთ ის სამეცნიერო მიღწევა, რომლის შედეგებიც უკვე მიმდინარე წლის 13 თებერვალს გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში Nature.

როგორც KM3NeT საერთაშორისო თანამშრომლობის წევრი, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი რევაზ შანიძე ამბობს, ნეიტრინოს ენერგია 1017 ელექტროვოლტია და, სავარაუდოდ, ის კოსმოსიდან მოდის. „აქამდე ასეთი ენერგიის ნეიტრინო არავის უნახავს და ამითაა ეს მოვლენა გამორჩეული. ზოგადად, კოლაბორაციის ერთ-ერთი მიზანია, რომ კოსმოსური ნეიტრინოები დავარეგისტრიროთ და მათი საშუალებით შევისწავლოთ – რა ხდება მაღალი ენერგიების სამყაროში, როგორ და სად ხდება კოსმოსური სხივების აჩქარება,



მეცნიერთა თქმით, ეს ულტრა-მაღალი ენერგიის ნეიტრინო შესაძლოა უშუალოდ მძლავრი კოსმოსური ამაჩქარებლიდან მოდიოდეს. ალტერნატიულად, ეს შეიძლება იყოს კოსმოგენური ნეიტრინოს პირველი აღმოჩენა.

სად მიიღება ისეთი ენერგიები, რომლის მიღებაც არსებული ტექნოლოგიებით დედამიწაზე ჯერჯერობით შეუძლებელია. ეს ვებინარი სწორედ კოლაბორაციის თხოვნით ჩატარდა, რომ ფართოდ გაეცნოთ ამ აღმოჩენის შესახებ და ინტერესებულ საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ, მეცნიერებთან ერთად, ვებინარს თსუ-ს სტუდენტებიც ესწრებოდნენ, – აღნიშნა რევაზ შანიძემ.

ვებინარზე კიდევ ერთხელ იქნა განხილული KM3NeT საერთაშორისო თანამშრომლობის საქმიანობა და მიზნები, რის შემდეგაც მონაწილეთა წინაშე მოხსენებებით წარდგინდნენ მეცნიერები კოლაბორაციის წევრი სამი სხვადასხვა ქვეყნიდან: საფრანგეთიდან (პასკალ კოლი, მარსელის ფიზიკისა და ნაწილაკების ცენტრის ნამყვანი მეცნიერი), იტალიიდან (როზა კონიგლიონე, KM3NeT ხელმძღვანელის მოადგილე აღმოჩენის დროს, INFN – ბირთვული ფიზიკის ეროვნული ინსტიტუტის (იტალია) ნამყვანი მეცნიერი) და პოლანდიიდან (აარტ ჰეიჯბოერი, KM3NeT ფიზიკისა და

პროგრამული უზრუნველყოფის მენეჯერი აღმოჩენის დროს, ნიდერლანდების სუბატომური ფიზიკის ეროვნული ინსტიტუტის (Nikhef) ნამყვანი მეცნიერი).

ვებინარზე ითქვა, რომ კოსმოსური ნეიტრინო დაიკვირვა 2023 წელს, თუმცა მიღებული მონაცემების გადამოწმებას ორი წელი დასჭირდა და მხოლოდ 2025 წელს გახდა შესაძლებელი – დარწმუნებით განეცხადებინათ აღმოჩენის შესახებ.

ვებინარზე გამომსვლელმა მეცნიერებმა კიდევ ერთხელ გააანალიზეს აღმოჩენის მნიშვნელობა: მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრინოები სამყაროში მეორე, ყველაზე გავრცელებული ნაწილაკებია ფოტონების შემდეგ, რთულდება მათი აღმოჩენა მატერიასთან სუსტი ურთიერთქმედების გამო. ამისთვის საჭიროა უზარმაზარი დეტექტორები.

ხმელთაშუა ზღვაში მშენებარე KM3NeT ნეიტრინული ტელესკოპი წარმოადგენს ღრმა ზღვის გიგანტურ ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს ARCA და ORCA დეტექტორებს. თავის საბოლოო კონფიგურაციაში KM3NeT დაიკავებს ერთ კუბურ კილომეტრზე მეტ მოცულობას. KM3NeT იყენებს ზღვის წყალს, როგორც ნეიტრინოებთან ურთიერთქმედების საშუალებას. ტელესკოპის მაღალტექნოლოგიური ოპტიკური მოდულები აფიქსირებენ ჩერენკოვის მკრთალ, მოლურჯო ნათებას, რომელიც წარმოიქმნება ნეიტრინულ ურთიერთქმედებებში წარმოშობილი ულტრა-რელატივისტური დამუხტული ნაწილაკების წყალში გავრცელებისას.

„ელემენტარულ ნაწილაკებს შორის ნეიტრინო ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი ნაწილაკია. მას არ აქვს მუხტი, თითქმის არ აქვს მასა და ძალიან სუსტად ურთიერთქმედებს მატერიასთან. ისინი განსაკუთრებული მაცნეები არიან, რომლებიც გვანვდიან უნიკალურ ინფორმაციას სამყაროს ყველაზე ენერგიული მოვლენების შესახებ და ამ მოვლენების შესაბამის შორეული ობიექტების შესწავლის საშუალებას იძლევიან“, – განმარტავს როზა კონიგლიონე.

„ამ ნეიტრინოების მიმართულებითაა და ენერგიის დასადგენად საჭირო იყო ტელესკოპის ზუსტი კალიბრაცია და რთული ტრაექტორიის რეკონსტრუქციის ალგორითმები. უფრო მეტიც, ეს შესანიშნავი აღმოჩენა დეტექტორის სრული კონფიგურაციის მხოლოდ მეთერთმეტე იქნა მიღწეული, რაც ადასტურებს ჩვენი ექსპერიმენტის დიდ პოტენციალს ნეიტრინოებისა და ნეიტრინული ასტრონომიის შესასწავლად“, – ამბობს აარტ ჰეიჯბოერი.

მეცნიერთა თქმით, ეს ულტრა-მაღალი ენერგიის ნეიტრინო შესაძლოა უშუალოდ მძლავრი კოსმოსური ამაჩქარებლიდან მოდიოდეს. ალტერნატიულად, ეს შეიძლება იყოს კოსმოგენური ნეიტრინოს პირველი აღმოჩენა.

თუმცა, მხოლოდ ერთი ნეიტრინოს საფუძველზე ძნელია მისი წარმოშობის შესახებ დასკვნის გაკეთება. სამომავლო დაკვირვებები ფოკუსირებული იქნება მეტი მსგავსი შემთხვევის გამოვლენაზე უფრო მკაფიო სურათის შესაქმნელად. დამატებითი მონაცემების მოპოვება და KM3NeT-ის მიმდინარე გაფართოება დამატებითი დეტექტორების ერთეულებით გააუმჯობესებს მის მგრძობელობას და გააძლიერებს კოსმოსური წყაროების ზუსტად განსაზღვრის უნარს, რაც მას ნამყვან კონტრიბუტორად აქცევს მრავალ-მესენჯერულ ასტრონომიაში.

KM3NeT საერთაშორისო თანამშრომლობა აერთიანებს 360-ზე მეტ ინჟინერს, ტექნიკოსს, მეცნიერსა და სტუდენტს მსოფლიოს 21 ქვეყნის 68 ინსტიტუტიდან. საქართველო, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი KM3NeT კოლაბორაციას 2018 წელს შეუერთდა.



## საქართველოს აქვს რესურსი – მსოფლიო ბაზარზე მწვანე წყალბადით წარსდგეს

თამარ ლალიანი

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსი უკვე ტრადიციად იქცა. გასული წლის სამეცნიერო პროექტების კონკურსმა საკმაოდ დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალში. კონკურსში გაიმარჯვა ექვსმა სამეცნიერო პროექტმა. ამ პროექტებს შორისაა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის პროფესორის რევაზ გველესიანის ხელმძღვანელობით შესრულებული ნაშრომი – „წყალბადის ენერგეტიკის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების პერსპექტივები საქართველოში“.

აღნიშნული პროექტი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას ასოცირებულმა პროფესორმა გულნაზ ერქომაიშვილმა გააცნო. პრეზენტაცია თსუ-ში 23 იანვარს გაიმართა.

როგორც პროფესორმა გულნაზ ერქომაიშვილმა აღნიშნა, ბოლო პერიოდში მსოფლიო მასშტაბით ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი სუფთა ენერგიის წარმოების წყარო – მწვანე წყალბადია. მწვანე წყალბადზე მუშაობა წლებია მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში. იგი მომავლის ინოვაციური პროექტი, ტრადიციული წიაღისეული საწვავის კონკურენტული ალტერნატივაა.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ მწვანე წყალბადი დაეხმარება ჩვენს ქვეყანას ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებასა და იმპორტი-



რებული საწვავის ჩანაცვლებაში, რადგან მას განახლებადი ენერგიების დიდი, აუთვისებელი პოტენციალი გააჩნია.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროპა საქართველოს განიხილავს მოკავშირედ მწვანე წყალბადის წარმოების მიმართულებით.“

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა გახდეს წყალბადის გამოყენების თვითკმარი, ჰქონდეს დამატებითი რესურსები ექსპორტისთვის და არა მხოლოდ ტრანზიტისთვის. საქართველოს აქვს რესურსი,

მსოფლიო ბაზარზე მწვანე წყალბადით წარსდგეს.

საქართველოს შეუძლია მწვანე წყალბადი არა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის აწარმოოს, არამედ ექსპორტზე გაიტანოს. მოთხოვნა მუდმივად მზარდია, რადგან ბევრი ქვეყანა ცდილობს ბუნებრივი აირის წყალბადით ჩანაცვლებას“, – განაცხადა ასოცირებულმა პროფესორმა გულნაზ ერქომაიშვილმა. მისი აზრით, კვლევის შედეგების გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოში მწვანე წყალბადის ენერგეტიკის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისთვის დიფერენცირებული ამოცანებისა და აქტივობების დასახვას. ნაშრომში ასევე განხილულია მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების მხრივ; ასევე, მისი წარმოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის ტენდენციები.



1927 წლიდან

# თბილისის უნივერსიტეტი



## სტუდენტური ფურცელი



**ბოსტონში კონკურსის  
შედეგად შერჩეული 3  
სტუდენტი გაემგზავრება**

ბოსტონის ტაფტის  
სტომატოლოგიურ სკოლასთან  
თანამშრომლობის ფარგლებში

6 83.

**როგორ აღმოჩნდა  
უნივერსიტეტის  
გაზეთიდან  
ჟურნალისტი ნინო  
ჩარკვიანი მიუნხენის  
უსაფრთხოების ცნობილ  
საერთაშორისო  
კონფერენციაზე**

7 83.

**ანანო ნეფარიძე:**

„თსუ-ში სწავლა  
ჩემი აკადემიური  
და პიროვნული  
განვითარების ძირითად  
ბაზისად იქცა“

10 83.



# სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – „თსუ 107“

6060 ჩარაჰიანი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – „თსუ 107“ გაიმართა.

კონფერენციის გახსნაზე ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ მონაწილეებს სიტყვით მიმართა და უნივერსიტეტის ისტორიულ მემკვიდრეობაზე ისაუბრა. მან ხაზი გაუსვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 107-წლიანი ისტორიის მნიშვნელობას, მის როლს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების განვითარებაში და სტუდენტური კვლევების წახალისების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. როგორც დეკანმა აღნიშნა, უნივერსიტეტისადმი მიძღვნილი კონფერენცია უკვე მესამედ ტარდება და მოიაზრებს როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა კონფერენციას.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორმა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ნინო პოპიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა,



რომ წლევანდელ ღონისძიებაზე მოხსენებით 98 სტუდენტი წარსდგა. საყურადღებოა, რომ მათი სასწავლო მიმართულება მხოლოდ ჰუმანიტარული მეც-

„ძალიან მიხარია, რომ ასეთი წარმომადგენლობითი კონფერენცია შედგა. კონფერენცია იყო ინტერდისციპლინური ხასიათისა. ეს არის სხვადასხვა დარგიდან, სხვადასხვა პერსპექტივიდან აზრთა გაცვლა-გამოცვლის, ერთმანეთში შეხედულებების გაზიარების კარგი შესაძლებლობა“, – განმარტავს პროფესორი ნინო პოპიაშვილი



ნიერებების ფაკულტეტით არ შემოიფარგლებოდა და მონაწილე სტუდენტებს შორის იყვნენ, ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიული თუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტებიდან.

„ძალიან მიხარია, რომ ასეთი წარმომადგენლობითი კონფერენცია შედგა. კონფერენცია იყო ინტერდისციპლინური ხასიათისა. ეს არის სხვადასხვა დარგიდან, სხვადასხვა პერსპექტივიდან აზრთა გაცვლა-გამოცვლის, ერთმანეთში შეხედულებების გაზიარების კარგი შესაძლებლობა“, – განმარტავს პროფესორი ნინო პოპიაშვილი.

კონფერენციის თემატიკა და ორდღიანი პროგრამა ფართო იყო. პირველი სექცია უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას ეძღვნებოდა, შემდგომ კი პა-



რალელურ რეჟიმში ჩატარდა სხდომები საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სექციებისა.

„ვფიქრობთ, რომ ასეთი კონფერენციები ხელს უწყობს ჩვენი ახალგაზრდების, ჩვენი სტუდენტების, ჩვენი დამწყები მეცნიერების გამოცდილების დაგროვებას. ამიტომაც ფაკულტეტი მუდმივად ხელს უწყობს მათ – წარმომადგინონ თავიანთი შეხედულებები და მიიღონ მონაწილეობა კონფერენციებში“, – აღნიშნა პროფესორმა ნინო პოპიაშვილმა, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტის თანამდებობას იკავებს.

## „ქართული პოეზიის გერმანულენოვანი თარგმანები“ – ნინა ზიგერის მოხსენება სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე

6060 ჩარაჰიანი



„ქართული პოეზიის გერმანულენოვანი თარგმანები“ – ამ სახელწოდებით წარადგინა თავისი მოხსენება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტმა ნინა ზიგერმა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე – „თსუ – 107“.

„მე, როგორც ორი ქვეყნის, ორი ერის წარმომადგენელს, ძალიან მაინტერესებს გერმანულ-ქართული ურთიერთობები და აქტიურად ვმუშაობ ამ თემებზე. ორივე ქვეყანა ჩემთვის მშობლიურია და დაინტერესებული ვარ როგორც მათი პოლიტიკური, ისე საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობებით“, – ამბობს სტუდენტი ნინა ზიგერი, რომელიც გერმანიის ქალაქ ზაარბრიუკენში დაიბადა, 2015 წლიდან კი საქართველოში ცხოვრობს, სწავლობს და იკვლევს.

ნინას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სტუდენტია, მთარგმნელობითი საქმიანობისადმი განსაკუთრებული ინტერესი აქვს. სწორედ ამაზე დაყრდნობით შეარჩია თემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 107 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენციისთვის. „მსურდა, რომ ჩემი ენობრივი ცოდნა გერმანულსა და ქართულში სათანადოდ გამოემყენებინა, რათა მთარგმნელობით

სფეროში გარკვეული წვლილი შემიტანა, თუნდაც მცირედი. გერმანული ჩემი პირველი მშობლიური ენაა და ვიფიქრე, რომ საინტერესო იქნებოდა გამეანალიზებინა – თუ როგორ ითარგმნა ქართული ლექსები გერმანულად“.

კვლევის ფარგლებში სტუდენტმა შეისწავლა – თუ როგორ იყო შენარჩუნებული ქართულიდან გერმანულად თარგმნილ ტექსტებში დედნისეული სიტყვიერი მასალა. გარდა ამისა, ყურადღება გაამახვილა თარგმნის პროცესში რითმის შენარჩუნებასა და მხატვრული გამონათქვამების შესაბამისობაზე. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის თანახმად, მრავალი პოეტური ხერხის გამოყენებით მთარგმნელებმა წარმატებით შეძლეს გერმანულენოვან მკითხველამდე ქართული ლექსების სათანადოდ მიტანა. „სიტყვები შეირჩა კეთილზომიერების, რიტმის სასარგებლოდ და პოეტის სათქმელში კიდევ უფრო ჩაღრმავების მეშვეობით. გერმანულ ენაში ნაპოვნი იქნა სათანადო მხატვრული გამონათქვამები, რომლებიც ორიგინალ ვერსიაში ქართული მხატვრული ხერხების ტოლფასი იყო. მთარგმნელთა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ლექსებში შენარჩუნებულია დედნისეული დრამატიზმი“, – ვკითხულობთ ნინა ზიგერის ნაშრომში.

საყურადღებოა, რომ ნინას თავადაც აქვს მთარგმნელობითი გამოცდილება. გვიამბო, რომ 2020 წელს ქართულიდან გერმანულად გადათარგმნა ოსი ხალხის საგმირო ნაწარმოები – „ნართების ეპოსი ბავშვებისათვის“. სტუდენტის აზრით, ეს ჯერჯერობით მისი მთავარი მიღწევაა თარგმნის სფეროში. აღსანიშნავია, რომ თარგმანი საერთაშორისო ფონდების დახმარებით გამოიცა.

ნინა ზიგერი მიიჩნევს, რომ მისი მოხსენება აქტუალურია, რადგან ქართულ-გერმანული პოეზიის შედარებითი ანალიზი ხელს უწყობს კულტურათაშორის ურთიერთგაცვლას, ლინგვისტური, ლიტერატურული კვლევების გამდიდრებას და ორივე კულტურის მეტად დაფასებას.

## ბოსტონში კონკურსის შედეგად შერჩეული 3 სტუდენტი გაემგზავრება



მაია ბორაძე

2025 წლის 31 მარტიდან 11 აპრილის ჩათვლით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტისა და ტაფტის (ბოსტონი, აშშ) უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ სკოლას შორის გაფორმებული თანამშრომლობის ფარგლებში, თბილისიდან ბოსტონში კონკურსის შედეგად შერჩეული 3 სტუდენტი გაემგზავრება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბოსტონის ტაფტის სტომატოლოგიურ სკოლასთან თანამშრომლობა ჯერ კიდევ პანდემიამდე დაიწყო. თანამშრომლობა ითვალისწინებს სტუდენტებისა და პედაგოგ-მასწავლებლების გაცვლას და გამოცდილების გაზიარებას. ორ უნივერსიტეტს შორის კონტაქტების დამყარებაში დიდი როლი ითამაშა თსუ-ს კურსდამთავრებულმა მარიამ მარგველაშვილმა, რომელიც ამჟამად ტაფტის უნივერსიტეტის პროფესორია. სწორედ მარიამის დიდი სურვილი იყო, რომ ქართველ სტუდენტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა – ტაფტის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიეღოთ განათლება.

როგორც თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი მამუკა (ვლადიმერ)

მარგველაშვილი ამბობს, ამ ხელშეკრულების გაფორმებაში მხარდაჭერას გრძნობდნენ უნივერსიტეტის რექტორის ჯაბა სამუშიას მხრიდან, ასევე, ძალიან დიდი როლი ითამაშეს მედიცინის ფაკულტეტის ნინა დეკანმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ, ასოცირებულმა პროფესორმა მაია ბინკინაშვილმა და თსუ საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა გერგედავამ.

ცოტა ხნის წინ ტაფტის უნივერსიტეტში გასამგზავრებლად სტუდენტების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. მათი რაოდენობა უშუალოდ ბოსტონში ვიზიტის დროს შეათანხმეს პროფესორებმა მამუკა მარგველაშვილმა და მანანა კალანდაძემ. „სტუდენტები 11 დღის განმავლობაში იქნებიან ტაფტის უნივერსიტეტში და გაცნობიან იქ არსებულ სტრუქტურას, სწავლის მეთოდებს, შევლენ კლინიკებში და დაათვალიერებენ სასწავლო გარემოს. ეს ტაფტის უნივერსიტეტთან წარმატებული თანამშრომლობის პირველი ნაბიჯი იქნება“, – გვითხრა მამუკა მარგველაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო სემესტრში მედიცინის ფაკულტეტი კვლავ გეგმავს შერჩეული ჯგუფის ბოსტონში გაშვებას. ეს ჯგუფი უშუალოდ ჩაერთვება პრაქტიკულ სამუშაოებშიც.



# როგორ აღმოჩნდა უნივერსიტეტის გაზეთიდან ჟურნალისტი ნინო ჩარკვიანი მიუნხენის უსაფრთხოების ცნობილ საერთაშორისო კონფერენციაზე

6060 ხაჯალია

თსუ-ს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჟურნალისტი ნინო ჩარკვიანი, როგორც უნივერსიტეტის გაზეთიდან წარდგენილი აკრედიტებული ჟურნალისტი, მიუნხენის საერთაშორისო უსაფრთხოების კონფერენციას (2025) დაესწრო და საქართველოში დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა. იგი, ფაქტობრივად, მსოფლიოს უსაფრთხოების პოლიტიკის დისკუსიის შუაგულში აღმოჩნდა.

„საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის ბაკალავრი ვარ და მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია ჩემთვის ყოველთვის საინტერესო მოვლენა იყო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფორუმი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების განსახილველად. 1963 წლიდან აქ ყოველწლიურად მართავენ დისკუსიებს სახელმწიფო ლიდერები, თავდაცვის ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მე, როგორც თსუ-ს გაზეთის ჟურნალისტი, საშუალება მქონდა, რომ კონფერენციის მიმდინარეობას დაეწინაურებოდი.

მედიააკრედიტაციის მოპოვებამდე გავიარე შემდეგი პროცედურები: უპირველესად, კონფერენციის მედია-კოორდინაციის გუნდს მივმართე და ოფიციალური განაცხადი გავაკეთე აკრედიტაციის მოსაპოვებლად. წარვადგინე ჩემი პირადი მონაცემები, გამოცდილება და სარეკომენდაციო წერილი თსუ-ს გაზეთის რედაქტორისგან. უსაფრთხოების ზომები უშუალოდ კონფერენციამდეც მკაცრად კონტროლდებოდა. წინასწარ



გადავგზავნე თანხმობა, რომ ბავარიის პოლიციის მიერ შემოწმდებოდა ჩემი წარსული. 3 კვირაში უკვე დადებითი პასუხი მივიღე მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის მედია ჰაბისგან, რომ მედია აკრედიტაცია წარმატებით მოვიპოვე“, – ამბობს ნინო ჩარკვიანი.

მიუნხენის რეზიდენციის სივრცეში აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის სპეციალური მედიაცენტრი იყო მოწყობილი. კონფერენციას ესწრებოდნენ ჟურნალისტები და რეპორტიორები 60-მდე სხვადასხვა ქვეყნიდან. ასეთ გარემოში მოხვედრამ ნინო ჩარკვიანს პროფესიული გამოცდილებაც უკეთ შესძინა.

„განსაკუთრებული გრძნობა იყო იმ გარემოში ყოფნა, სადაც ჩემს გვერდით BBC-ის, CNN-ის, რადიო თავისუფლებისა და სხვა ავტორიტეტული მედიას-



**მიუნხენის რეზიდენციის სივრცეში აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის სპეციალური მედიაცენტრი იყო მოწყობილი. კონფერენციას ესწრებოდნენ 60-მდე სხვადასხვა ქვეყნიდან. ასეთ გარემოში მოხვედრამ ნინო ჩარკვიანს პროფესიული გამოცდილებაც უკეთ შესძინა.**

აშუალებების ჟურნალისტები მუშაობდნენ. მედიაცენტრში კონფერენციის ყველა სესიის პირდაპირი ტრანსლაცია ხელმისაწვდომი იყო შესაბამისი თარგმანებით, რაც ინფორმაციის სრული და სწორი აღქმისთვის მნიშვნელოვანი იყო. სატელევიზიო ჟურნალისტებს შეეძლოთ პირდაპირ ეთერებში მედიაცენტრიდანვე ჩართულიყვნენ; ასევე, მოწყობილი იყო სპეციალური კაბინები ინტერვიუების ჩასაწერად და რადიოსთვის/პოდკასტებისთვის აუდიოჩანაწერების გასაკეთებლად. ჩემთვის, რო-

გორც ჟურნალისტისთვისა და, თანაც, საერთაშორისო ურთიერთობების მართვლების კურსდამთავრებულისთვის, კონფერენციაზე დასწრება შთაბეჭდავი და საინტერესო გამოცდილება იყო. ფაქტობრივად, მსოფლიოს უსაფრთხოების პოლიტიკის დისკუსიის შუაგულში ვიყავი“, – ამბობს ნინო და გამოგვცემს იმ ემოციურ განწყობებს, რაც მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის მსვლელობისას მომუშავე ჟურნალისტთა წრეში ხდებოდა.

„გავეცანი საერთაშორისო დონის ღონისძიების ორგანიზების თავისებურებებს; დავინახე – როგორ შექმნა ინფორმაცია სწრაფად და ეფექტურად მაღალი დატვირთვის პირობებში, დავაკვირდი მედიის მუშაობის პროცესს და ვისწავლე – როგორ უნდა მოვემზადო რთული საკითხების ოპერატიულად გაშუქებისთვის. თანამედროვე პოლიტიკური გარემო იმდენად ცვალებადია, რომ ჟურნალისტი უნდა ეცადოს, ყველანაირი მოულოდნელობისთვის მზად იყოს, მით უფრო ასეთი ტიპის კონფერენციაზე, როცა ძნელია ნებისმიერი პროგნოზის გაკეთება ამა თუ იმ სახელმწიფო ლიდერის სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით“, – აღნიშნავს ნინო ჩვენთან საუბრისას. მისი თქმით, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციას დაესწრო 50-ზე მეტი მთავრობების ხელმძღვანელი, ასევე 150 მინისტრი, სხვა პოლიტიკოსები და დიპლომატები. ყურადღება გამახვილდა თანამედროვე და მივიწყებულ კონფლიქტებზე, კიბერუსაფრთხოებაზე, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე და გლობალური ნესრიგის ცვლილებებზე.

## კვლევის აქტუალობა და საგანგაშო სტატისტიკა საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებში უმუშევრობის კრიტიკული მდგომარეობის შესახებ

თამარ დავიანი

ბტალიის ქალაქ ვარეზეში, ინსუბრიის უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტში ჩატარებულ მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმზე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორმა რუსუდან სეთურიძემ წარადგინა მოხსენება – „ახალგაზრდების უმუშევრობა საქართველოში და თანამედროვე გლობალური გამოწვევები“. კვლევის თანავებრები არიან: ნანული ოქრუაშვილი – ასოცირებული პროფესორი, ნინო ფარესაშვილი – ასოცირებული პროფესორი და მზია ტიკიშვილი – ასისტენტ პროფესორი.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია გააანალიზოს ახალგაზრდების უმუშევრობა საქართველოში და შეიმუშაოს რეკომენდაციები მისი სიმძიმის შესამცირებლად... ახალგაზრდების დასაქმება, ღირსეული ხელფასისა და სამუშაო პირობების უზრუნველყოფასთან ერთად, რჩება საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად. დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, დაბალი ხელფასი და არასამართლიანი სამუშაო პირობები ხშირად უბიძგებს ქართველ ახალგაზრდებს სამუშაოს საზღვარგარეთ ძიებისკენ. საქართველოში არასაკმარისია



კვლევა ახალგაზრდების დასაქმებისა და უმუშევრობის დონეზე მოქმედი ფაქტორების, ახალგაზრდების უმუშევრობის ძირითადი მიზეზებისა და ამ საკითხების გადაჭრის სტრატეგიების შესახებ. ამ მიმართულებით კვლევის აქტუალობას ხაზს უსვამს საგანგაშო სტატისტიკა საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებში უმუშევრობის კრიტიკული მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულმა გამოიწვია მკვლევართა ინტერესი ახალგაზრდობის უმუშევრობის მეტად მწვავე პრობლემის შესწავლით. როგორც ასოცირებული პროფესორ-

მა რუსუდან სეთურიძემ აღნიშნა: „ნაშრომში აღწერილია ახალგაზრდა სპეციალისტთა მხარდაჭერისა და მათთვის ღირსეული დასაქმებისა და ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, რომელიც უპასუხებს დღეისათვის არსებულ გლობალურ გამოწვევებს. ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირებაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ საგანმანათლებლო სისტემებმა, რომელსაც შეუძლია მოამზადოს ახალგაზრდები ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და შრომის



ბაზრის ახალი რეალობებისთვის. ამის მისაღწევად, აუცილებელია განათლებისა და პროფესიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, რათა აღმოიფხვრას ახალგაზრდების უნარ-ჩვევებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობა. აუცილებელია სამუშაო ძალაზე არსებული მიწოდება-მოთხოვნის რაოდენობრივი და თვისობრივი დაბალანსება, რაც თავის მხრივ, საჭიროებს განათლების სფეროს რეგულირების კომპლექსური სისტემის გარდაქმნასა და ჩამოყალიბებას“, – განაცხდა მოხსენებაში რუსუდან სეთურიძემ.

როგორც ითქვა, მოხსენებამ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია და სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა შესთავაზეს ნაშრომის ავტორებს, რომ გაფართოებული სტატია საერთაშორისო ჟურნალში „International Journal of Markets and Business Systems“ დაიბეჭდოს.



# ბექა შავლიაშვილს უკვე თითქმის ყველა კონტინენტზე ჰყავს ნაცნობი

მაია ტორაძე

ბექა შავლიაშვილი თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფრანგულ ფილოლოგიას ეუფლება. ისიც, როგორც უნივერსიტეტის ბევრი სხვა სტუდენტი, პირველივე კურსიდან დაინტერესებული იყო გაცვლითი პროგრამებით და გასულ სემესტრში ეს მიზანიც აიხდინა. ის ERASMUS+ გაცვლითი პროგრამით ერთი სემესტრი იმყოფებოდა პარიზის უნივერსიტეტში.

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის მანაც ჩვეულებრივი გზა გაიარა – გაეცნო საკონკურსო განცხადებას, წარადგინა ენის დამადასტურებელი B2 დონის დიპლომი და სამოტივაციო წერილი, რის შემდეგაც გაიარა გასაუბრება კომისიასთან და შეირჩა საფრანგეთში სწავლის მსურველთა შორის.

ის ახლა ამბობს, რომ საზღვარგარეთ ერთი სემესტრით ყოფნამ დიდი გამოცდილება შესძინა: „პარიზში ვცხოვრობდი თავად უნივერსიტეტის კამპუსში (International Residence), სადაც ჩემთან ერთად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენელი სტუდენტები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ურთიერთობების დამყარებისთვის. ამჟამად შემძლია ვთქვა, რომ ყველა კონტინენტზე ვილაყავს ვიცნობ“.

**ის ახლა ამბობს, რომ საზღვარგარეთ ერთი სემესტრით ყოფნამ დიდი გამოცდილება შესძინა: „პარიზში ვცხოვრობდი თავად უნივერსიტეტის კამპუსში (International Residence), სადაც ჩემთან ერთად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ერის წარმომადგენელი სტუდენტები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ურთიერთობების დამყარებისთვის. ამჟამად შემძლია ვთქვა, რომ ყველა კონტინენტზე ვილაყავს ვიცნობ“.**

ბექას მიაჩნია, რომ მიზნის ასრულებაში მისთვის სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია ის მთავარი საყრდენი, რომელმაც გზა გაუხსნა



ცოდნისა და გამოცდილების შესაძენად. რაც შეეხება სხვაობას მშობლიურ და მიმღები უნივერსიტეტების სწავლების მეთოდებს შორის, ამბობს, რომ ეს განსხვავება ნამდვილად შეიმჩნევა: „თსუ-ში გარკვეული ფაკულტეტის პროგრამა სრული და კომპლექსურია, ხოლო სადაც ვიმყოფებოდი, აქცენტს აკეთებდნენ მხოლოდ მნიშვნელოვანზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ცოდნის არეალი მცირდება და არ სცდები შენივე ცოდნის მინიმალურ ზღვარს. ასევე შეიძლება აღინიშნოს განსხვავება საგამოცდო სისტემებს შორის, რომელიც საინტერესოა. ყველას მოგეხსენებათ თსუ-ს შუალედური და ფინალური

გამოცდები, ხოლო პარიზის უნივერსიტეტში გამოცდებს განსხვავებულად აბარებენ, ეს დამოკიდებულია პროფესორზე. შესაძლებელია, მან მოითხოვოს სემესტრის განმავლობაში რამდენიმე ტიპის დავალების შესრულება, რომელსაც სემესტრის ბოლოს შეაჯამებს – იქნება ეს პრეზენტაციები თუ ჯგუფური სამუშაოები“ – გვითხრა მან.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება კი ბექაზე პარიზის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მოახდინა. ის იხსენებს: „ეს იყო უზარმაზარი ბიბლიოთეკა, რომელიც იშლებოდა ორ ქუჩაზე და ერთდებოდა ხდით. მოიცავდა მრავალ განყოფილებას, იყო ცალკე სამუშაო მაგიდები, კომპიუტერები, წიგნების დიდი კატალოგი, ასევე სპეციალური მონაცემები მუსიკის მოსასმენად, თუმცა, ყველაზე მეტად რაც მომეწონა, ეს იყო ფილმების პატარა დარბაზი დიდი არჩევანით, დიდი ტელევიზორებითა და ყურსასმენებით“.

ფაქტია, გაცვლითი პროგრამების ყველა მონაწილეს ჩამოაქვს იდეები სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისთვის. ოდესმე, ალბათ, ბექასაც ექნება შესაძლებლობა – თსუ-ში იხილოს სწორედ ის გარემო, რამაც პარიზში ასე მოხიბლა.

## რა ისწავლა თეკლა ფარქოსაძემ ლიმერიკის უნივერსიტეტში?

ნინო ხაჯალია

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი თეკლა ფარქოსაძე, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ირლანდიაში, ლიმერიკის უნივერსიტეტში ერთი სემესტრი სწავლობდა.

„საზღვარგარეთ 4 თვე გავატარე. ამ პერიოდის განმავლობაში უდიდესი გამოცდილება მივიღე როგორც აკადემიური, ასევე, ცხოვრებისეული. აკადემიური თვალსაზრისით ნამდვილად ბევრი რამ ვისწავლე, ინგლისურ ენასთან ერთად დავეხვეწე და გავაუმჯობესე გერმანული ენაც. გარდა უცხო ენებისა, ვისწავლე აკადემიური კვლევების ჩატარება და ნაშრომების წერაც, ამასთანავე, უკეთ გამომდის დროის მენეჯმენტიც. აკადემიურ გამოწვევას წარმოადგენდა განსხვავებულ სამართლის სისტემასთან მუშაობა. ირლანდიაში სწავლა მომიწია პრეცედენტული სამართლის სისტემით, რომელიც საკმაოდ განსხვავებულია ქართული სამართლის სისტემისგან. კმაყოფილი ვარ, რომ გამოცდილება ამ მხრივაც მივიღე. ეს ყველაფერი ნამდვილად უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც მომავალში დამეხმარება თავდაჯერებულმა გავაგრძელო წინსვლა და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლა კვლავ უცხოეთში განვაგრძო.“



**დამოუკიდებლად ცხოვრება იმაზე მეტ სირთულესთანაა დაკავშირებული, ვიდრე წარმოდგენილია ხოლმე. ასეთ დროს საჭიროა არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ მენტალური და ფსიქოლოგიური მზადყოფნაც.**



4 თვის განმავლობაში უკეთ ვისწავლე საკუთარ თავზე ზრუნვა და ემოციების მართვა“, – ამბობს ჩვენთან საუბრისას თეკლა ფარქოსაძე.

ლიმერიკის უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული თეკლა ფიქრობს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ძალიან საინტერესო იქნება, შექმნილიყო საკონკრეტო საკონსულტაციო სამსახურების გამოყენება სწავლის პერიოდში. მისი აზრით, მოცემული აქტივობები გაამყარებს სტუდენტების როგორც ცოდნას, ასევე, პირად კავშირებსა და ურთიერთობებს. თუ რა მისცა მას, პირადად, თსუ-ში სწავლამ – ამ კითხვაზე თეკლა ფარქოსაძე გვპასუხობს: „რა თქმა უნდა, დიდი პრივილეგიაა ისწავლო ნომერ პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა, ვფიქრობ, კიდევ

უფრო დიდი პატივია წარმოადგინო შენი უნივერსიტეტი საზღვრებს გარეთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომცა აკადემიური საფუძველი და თავდაჯერებულობა, რომ ბედი მეცადა და გამომეყენებინა ისეთი შესაძლებლობები, როგორცაა, მაგალითად, ერასმუსის პროგრამა. უნივერსიტეტმა, ასევე, მომცა ის ცოდნა და უნარები, რომელიც საჭირო იყო სხვადასხვა გარემოში ადაპტაციისთვის“.



# ელენე ეგიაშვილი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალიან აკლია სოციალური კლუბები“

მაია ტორაძე

მსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ელენე ეგიაშვილი გაცვლითი პროგრამით ირლანდიაში, ლიმერიკის უნივერსიტეტში იმყოფებოდა. გამოცდილებამ, რომელიც პროგრამის ფარგლებში მიიღო, ელენეს თქმით, დიდი გავლენა მოახდინა მის როგორც პიროვნულ, ასევე პროფესიულ ზრდაზე.

ელენე ფიქრობს, რომ გაცვლითი სემესტრი მისთვის განსაკუთრებით საინტერესო სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებთან ურთიერთობის გამო იყო, რადგან მულტიკულტურულ გარემოში ყოფნამ გააფართოვა როგორც მისი თვალსაზრისი, ასევე მრავალფეროვანი პოზიციებისადმი მიმდებლობა. „ეს იყო ჩემი პირველი გამოცდილება დამოუკიდებლად ცხოვრებისა. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მან ამომადლა საკუთარი თავის რწმენა, რომ შემიძლია თავი გავართვა სხვადასხვა ტიპის დაბრკოლებას და მოცემულ სიტუაციაში შესაბამისად მოვიქცე. უცხო გარემოში დამოუკიდებლად ადაპტირებამ გამხადა უფრო გამბედავი და ახალი გამოცდილებისადმი ღია“, – ამბობს იგი და იხსენებს, რომ სტუდენტურ კამპუსში ცხოვრებამ უახლოესი მეგობრები შესძინა, მათთან ერთად გაეცნო ირლანდიის კულტურას და იმოგზაურა სხვადასხვა რეგიონში: „ჩვენი მეგობრობა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ახალ წელს ახალ შოტლანდიაში ჩემი მეგობარი საშობაო ვახშამზე ოჯახს

„ჩემი აზრით, სწორედ ამ საგანმა შესძინა ჩემს განვლილ მოდულებს მრავალფეროვნება. ეს იყო ახალი გამოწვევა იმისა, რომ ფსიქოლოგიაში შეძენილი ცოდნა მომერგო პრაქტიკული შემთხვევებისთვის, როგორც არის დევიანტური ქცევა და კრიმინალური დანაშაულები“, – ამბობს ის.

გაუმასპინძლდა ხაჭაპურით, რომლის გამოცხოვაც ერთად ყოფნის დროს ვისწავლეთ. გარდა ამისა, ჩემმა მეორე მეგობარმა ტორონტოდან, რომელთან ერთადაც ოთხი თვის განმავლობაში ვცხოვრობდი და რომელიც კინგსტონში „Campus Community Radio“-ს წამყვანია, ერთ-ერთ გადაცემაში ჩართო რამდენიმე ქართული სიმღერა, რომელთაც ერთად ვუსმენდით. მათთვის უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა ქართული კულტურა და ენა, რამაც განაპირობა, რომ დღესაც კი ახსოვთ ის ქართული სიტყვები და წინადადებები, რომლებიც ქართველმა სტუდენტებმა ირლანდიაში ერთად ყოფნის დროს ვასწავლეთ“, – იხსენებს ის.

რაც შეეხება სასწავლო გარემოს, ელენეს შესაძლებლობა ჰქონდა, რამდენიმე მოდული აერჩია ნებისმიერი სხვა ფაკულტეტიდან. მან ისეთი საგნები აარჩია, რომელიც ჩვენთან ჯერ არ ისწავ-



ლება. ერთ-ერთი ასეთი იყო „consuming crime: crime and popular culture in 24/7 society“.

„ჩემი აზრით, სწორედ ამ საგანმა შესძინა ჩემს განვლილ მოდულებს მრავალფეროვნება. ეს იყო ახალი გამოწვევა იმისა, რომ ფსიქოლოგიაში შეძენილი ცოდნა მომერგო პრაქტიკული შემთხვევებისთვის, როგორც არის დევიანტური ქცევა და კრიმინალური დანაშაულები“, – ამბობს ის.

კითხვაზე, თუ რა მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლამ, ელენე განსაკუთრებული სითბოთი საუბრობს: „თსუ-მ ძალიან ბევრი შესაძლებლობა მომცა. ჩემთვის განსაკუთრებით ღირებულია ლექტორებთან ურთიერთობა. გარდა იმისა, რომ ისინი პრო-

ფესიონალები არიან, იგრძნობა მათი ერთგულება და სიყვარული საქმისა და სტუდენტისადმი. ლექტორები ხშირად გვიზიარებენ თავიანთ პრაქტიკულ გამოცდილებას. ასევე საინტერესოა ისეთ ლექტორებთან ურთიერთობა, რომლებიც დარგის სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ. ეს გვაძლევს საშუალებას, უკეთ გავეცნოთ ფსიქოლოგიის მიმდინარეობებს და მეტად გააზრებულად ავირჩიოთ მომავალი პროფესიული გზა. გარდა ამისა, აუცილებელია ითქვას, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში თსუ-ში შევიძინე უახლოესი მეგობრები და გავიცანი ადამიანები, რომლებთანაც საერთო ინტერესები მაკავშირებს“.


ელენეს აზრით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ძალიან აკლია სოციალური კლუბები, რომლებიც სტუდენტების სოციალურ აქტივობას შეუწყობს ხელს. „ამგვარი კლუბები არა მხოლოდ ჯანმრთელი ცხოვრებისკენ გვიბიძგებს, არამედ განტივრთვას საშუალებაც არის და ხელს უწყობს ურთიერთობების ჩამოყალიბებას. სტანდარტული აკადემიური ცხოვრების მიღმა არანაკლებ მნიშვნელოვანია სტუდენტების ფსიქიკური თუ ფიზიკური კეთილდღეობა, რისი მნიშვნელობაც ირლანდიაში მეტად გავაცნობიერე. ლიმერიკის უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული ჰქონდა ისეთი სტუდენტური საზოგადოებები, როგორებიცაა, ფოტოგრაფია, ხელსაქმე, გარემოს დაცვა, მოდა, იოგა, მშვილდოსნობა, რაგბი, ჩოგბურთი და სხვა. სტუდენტებს ეძლეოდათ საშუალება, მეგობრები შეეძინათ არა მხოლოდ საკუთარ დარგში, არამედ საერთო ინტერესების მიხედვითაც“, – გვითხრა მან.

## ანი ბერიძე: „ნორვეგიული სისტემა გასწავლის როგორც დამოუკიდებელ, ისე გუნდურ მუშაობას“

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ანი ბერიძე გაცვლითი პროგრამით ნორვეგიაში, ოსტფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯში იმყოფებოდა. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის და საერთაშორისო გამოცდილების მიღების სურვილი მას უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე გაუჩინდა, რადგან მიხვდა, რომ ეს იყო გზა, რომელიც კარიერულ და პიროვნულ განვითარებას ძალიან წაადგებოდა.

ანი გაცვლითი პროგრამისთვის მზადებას პირველი კურსიდანვე შეუდგა. იცოდა, რომ პროგრამაში გამარჯვებისთვის მზად უნდა ყოფილიყო ინტენსიური შრომისა და თავდადებისთვის. მანაც, სხვა კონკურსანტების მსგავსად, რამდენიმე ეტაპი გაიარა და, მაღალი აკადემიური მაჩვენებლების გარდა, დასჭირდა ენის ცოდნის დადასტურების, სამოტივაციო წერილის, პროფესორ-მასწავლებლებთან რეკომენდაციისა და სხვადასხვა დოკუმენტის წარდგენა, თუმცა ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი ეტაპად ახლა ინგლისურენოვან გასაუბრებას მიიჩნევს, რადგან გასაუბრებაზე სულ რამდენიმე წუთი გაქვს, დაამტკიცო, რომ სწორედ შენ ხარ იდეალური კანდიდატი. მისი აზრით, გასაუბრებაზე აუცილებელია – იყო თავისუფალი, თავდაჯერებული და აჩვენო, რომ გაქვს სათანადო ცოდნა, ხარ კომუნიკაბელური და მზად ხარ ყველანაირი გამოწვევისთვის.



ნორვეგიაში გატარებული სემესტრი ანისთვის იყო შანსი როგორც კარიერული, ისე პიროვნული განვითარებისათვის. „ეს რამდენიმე თვე ჩემთვის მრავალის მომცემი აღმოჩნდა, ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე დამაფიქრა და აზრი შემაცვლევინა. საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობამ, სხვადასხვა კულტურასა და მენტალიტეტთან შეხებაში გამიძლიერა მიმდებლობისა და ადაპტაციის უნარი. გავიცანი სტუდენტები მთელი ევროპიდან, შევიძინე უამრავი მეგობარი სხვადასხვა ქვეყნიდან, ბევრს გავაცანი საქართველო, ქართული კულტურა და მეც გავეცანი მათ კულტურას. ნორვეგიაში საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, რამაც

„ის ფიქრობს, რომ ამ საეტაპო სემესტრის ნორვეგიაში გატარებამ კიდევ უფრო მადლიერი გახადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რომელმაც მისცა შესაძლებლობა, მიეღო მონაწილეობა „ერასმუს +“-ის პროგრამაში, ესწავლა ნორვეგიაში, გასცნობოდა ევროპულ კულტურას და სკანდინავიის სისტემას.“

კიდევ უფრო დამაახლოვა სხვა სტუდენტებთან“, – იხსენებს ანი.

ის ფიქრობს, რომ ამ საეტაპო სემესტრის ნორვეგიაში გატარებამ კიდევ უფრო მადლიერი გახადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რომელმაც მისცა შესაძლებლობა, მიეღო მონაწილეობა „ერასმუს +“-ის პროგრამაში, ესწავლა ნორვეგიაში, გასცნობოდა ევროპულ კულტურას და სკანდინავიის განათლების სისტემას.

„ნორვეგიაში დამხვდა სრულიად განსხვავებული სასწავლო მიდგომა. თსუ-ში, ძირითადად, ლექცია-სემინარების ფორმატია, ხშირად გვაქვს შუალედური გამოცდები, ქვიზები და აქტიურობაზე დაფუძნებული შეფასება. ნორვეგიაში კი უმეტესად სალექციო ფორმატი იყო, თუმცა, მიუხედავად ამისა, სასწავლო პროცესი ძალზე ინტერაქტიული იყო:

ჩართულები ვიყავით ჯგუფურ დავალებებში, დისკუსიებში, „ქეისების“ ანალიზში, პრაქტიკულ საქმიანობაში, ვსწავლობდით პრობლემების გლობალური პერსპექტივიდან დანახვას და კრიტიკულ აზროვნებას. ნორვეგიული სისტემა გასწავლის როგორც დამოუკიდებელ, ისე გუნდურ მუშაობას“, – ამბობს ის და პარალელს ავლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლების თეორიული სწავლება მაღალ დონეზეა, თუმცა პრაქტიკული „ქეისები“ ნაკლებად განხილულია: „თსუ ხშირად შემოიფარგლება თეორიული სწავლის მეთოდებით, რაც ერთგვაროვანია. ნორვეგიაში ყველაზე მეტად მრავალფეროვნებამ მომხიბლა. ლექტორები ლექციებზე მუდმივად გვაგვარჯიშებდნენ სხვადასხვა პრაქტიკულ დავალებაში – იქნებოდა ეს დოკუმენტური ფილმის ანალიზი, ქეისების განხილვა თუ რეალურ კომპანიებში არსებული პრობლემების მოძიება და მათი გადაწყვეტის გზების პოვნა. იქ სტუდენტს ხელი მიუწვდება ყველა საჭირო რესურსზე, იქნება ეს ტექნოლოგიები თუ სამუშაო სივრცე“.

მისი აზრით, ასეთი მიდგომა ავითარებს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარს და გუნდური მუშაობის კულტურას, რაც დღევანდელ რეალობაში ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და დაფასებული უნარია. „ვისურვებდი, თსუ-ში სწავლა მეტად იყოს პრაქტიკაზე ორიენტირებული, ხოლო ლექცია-სემინარები – მრავალფეროვანი და ინტერაქტიული“, – ამბობს ანი ბერიძე.



# მარიამ ბარბაქაძე: „ამ პერიოდმა მასწავლა – როგორ მემართა ჩემი დრო და ფინანსები დამოუკიდებლად“

ენიო ხაუალია

„პორტუგალიაში გატარებული სემესტრი დაუფინსარი გამოცდილება იყო, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემს პიროვნულ განვითარებაზე“, – ამბობს თსუ-ს ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტი მარიამ ბარბაქაძე. მან 2024 წლის შემოდგომის სემესტრი პორტუგალიაში, კოიმბრას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაატარა.



რივი ხალხის სტუმართმოყვარეობამ ეს გამოცდილება კიდევ უფრო განსაკუთრებული გახდა, – აღნიშნავს მარიამი. მარიამისთვის პირველი თვე საკმაოდ აქტიური და დატვირთული აღმოჩნდა. როგორც ის ამბობს, საჭირო იყო სხვადასხვა ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება და არაერთი ბიუროკრატიული პროცედურის გავლა. როგორც ევროკავშირის არანგერი ქვეყნის მოქალაქე, დამატებითი გამოწვევების წინაშე იდგა, თუმცა ამ სირთულეებმა გაუუმჯობესა ორგანიზაციული უნარები.

„კოიმბრა, სადაც ჩემი უნივერსიტეტი მდებარეობს, პორტუგალიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აკადემიური ცენტრია. ეს ქალაქი სტუდენტური ტრადიციებითა და ისტორიული მნიშვნელობით გამოირჩევა. პორტუგალიაში გატარებულმა პერიოდმა შესაძლებლობა მომცა მიმელო როგორც უმაღლესი ხარისხის განათლება, ასევე, ახლოს გამეცნო ეს კულტურითა და ისტორიით მდიდარი ქვეყანა. ქალაქის არქიტექტურამ, გასაოცარმა ბუნებამ და ადგილობ-

ვდა და რაც მას თსუ-სგან განასხვავებს. „სემინარები ძირითადად პრაქტიკულ მეცადინეობას ემყარებოდა და სასემინარო აქტივობაში ქულები არ იწერებოდა. ლექტორები ხშირად გვაცნობებდნენ რეალურ მაგალითებს, რის საფუძველზეც სტუდენტებს გვექონდა შესაძლებლობა – გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის ჩვენი ხედვები და შეგვეფასებინა სხვადასხვა ბიზნეს სიტუაცია. აუდიტორიაში ასეთი მიდგომები დისკუსიებს უფრო დინამიკურს და საინტერესოს ქმნიდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. სტუდენტებს გვექონდა წვდომა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებსა და სამეცადინო სივრცეებზე, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებდა როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ მუშაობას“, – ამბობს ის. მარიამის სურვილია თსუ-შიც გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.

ვდა და რაც მას თსუ-სგან განასხვავებს. „სემინარები ძირითადად პრაქტიკულ მეცადინეობას ემყარებოდა და სასემინარო აქტივობაში ქულები არ იწერებოდა. ლექტორები ხშირად გვაცნობებდნენ რეალურ მაგალითებს, რის საფუძველზეც სტუდენტებს გვექონდა შესაძლებლობა – გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის ჩვენი ხედვები და შეგვეფასებინა სხვადასხვა ბიზნეს სიტუაცია. აუდიტორიაში ასეთი მიდგომები დისკუსიებს უფრო დინამიკურს და საინტერესოს ქმნიდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. სტუდენტებს გვექონდა წვდომა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებსა და სამეცადინო სივრცეებზე, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებდა როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ მუშაობას“, – ამბობს ის. მარიამის სურვილია თსუ-შიც გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.

# ანანო ნეფარიძე: „თსუ-ში სწავლა ჩემი აკადემიური და პიროვნული განვითარების ძირითად ბაზისად იქცა“

ბაია ბორაძე

ანანო ნეფარიძე საერთაშორისო სამართლის სპეციალობას ეუფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მან, ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა, მოახერხა გაცვლითი პროგრამით სწავლა ლიეტუვას და ვილნიუსის უნივერსიტეტში სწავლა.

სამართლებრივი გადანაცვლებების მიღება. ამასთან, მქონდა საშუალება, მონაწილეობა მიმელო ვილნიუსის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში, წარმედგინა პრეზენტაციები ჩემი ქვეყნის საკონსტიტუციო სისტემასთან და თანამედროვე გამოწვევებთან დაკავშირებით“, – ამბობს ის.



კენების მონახულება იყო, რადგან აქ კარგად გაცნობიერა, რამდენად მნიშვნელოვანია ბალტიის ქვეყნების გამოცდილება, მათი ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და წარმატება დემოკრატიზაციის გზაზე. პირველივე საორიენტაციო შეხვედრაზე უნივერსიტეტის დეკანმა გაგვაცნო ლიეტუვის ისტორია პოსტსაბჭოთა პერიოდის სირთულეების დაძლევიდან ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებამდე. განსაკუთრებულად მახსოვს ყვავილი კესანე, რომელიც ლიეტუვაში საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის სიმბოლოა. ეს გამოცდილება შთამაგონებელი იყო ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, რომელმაც კარგად იცის თავისუფლების მნიშვნელობა“, – გვითხრა მან.

მარა უფრო ფართოდ ჩავრთულიყავი სამართლებრივ სფეროში და გამედრმავებინა ინტერესები. რაც ყველაზე მთავარია, დამაკავშირა ჩემი ინტერესების გამზარებელი ადამიანებთან, მეგობრებთან და მომავალ კოლეგებთან. თსუ-ში სწავლა ჩემი აკადემიური და პიროვნული განვითარების ძირითად ბაზისად იქცა“.

გაცვლითმა პროგრამამ და ვილნიუსის უნივერსიტეტში გატარებულმა ერთმა სემესტრმა ანანოს უდიდესი გამოცდილება შესძინა, რაც მომავალი წარმატებისთვის კარგი წინაპირობაა. „ლიეტუვაში ხუთთვიანი ცხოვრება და მის მთავარ უნივერსიტეტში სწავლა ჩემთვის დაუფინსარი გამოცდილება იყო. ვილნიუსის უნივერსიტეტი გამოირჩევა მასშტაბურობით, მრავალრიცხოვანი კორპუსებითა და საერთაშორისო რესურსებით მდიდარი ბიბლიოთეკებით, რომლებიც ქუდივად ფუნქციონირებენ. ამასთან, ქალაქის ინფრასტრუქტურა მორგებულია სტუდენტებზე: ადვილად ხელმისაწვდომია საცხოვრებელი ადგილები და მონესრიგებულია ტრანსპორტი. ხოლო ვილნიუსის ისტორიული ძეგლები და კულტურული მრავალფეროვნება წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს“, – იხსენებს იგი.

გაცვლითი პროგრამა თსუ-ს სტუდენტს დაეხმარა სოციალური უნარების გაუმჯობესებაშიც. აკადემიური გამოცდილების პარალელურად, ანანო ნეფარიძე აქტიურად მონაწილეობდა ESN-ის (Erasmus Student Network) ორგანიზაციის ღონისძიებებში. ის, თანატოლებთან ერთად, აორგანიზებდა გაცნობით შეხვედრებს, სასწავლო აქტივობებსა და ქალაქის უკეთ გასაცნობ თამაშებს. ახლა იხსენებს, რომ განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ქართული კულტურისა და სამზარეულოს წარდგენა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ყველაფერს კი საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაეყარა. სწორედ აქ მიღებულმა ცოდნამ განაპირობა ის, რომ ანანო ვილნიუსის უნივერსიტეტშიც წარჩინებული სტუდენტი იყო და პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღებას იმსახურებდა. ის ახლა მადლიერია იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მისცა მყარი თეორიული საფუძველი, სხვადასხვა სამართლებრივი მიმართულების შესწავლის დროს კი ლექტორთა პროფესიონალიზმმა და მიდგომებმა გაუღრმავა ანალიტიკური უნარები. „თსუ დამეხმარა ვილნიუსის უნივერსიტეტში მარტივად გავემკლავებოდი რთულ საერთაშორისო სამართლებრივ „ქეისებს“. ამასთან, თსუ-ს ბაზაზე არსებული სხვადასხვა პროექტი, დებატების ტურნირები და სტუდენტური კონფერენციები დამეხ-

კითხვაზე, განსხვავდება თუ არა სწავლების მეთოდები ამ ორ უნივერსიტეტში და რას გამოარჩევდა განსაკუთრებით, ანანო ამბობს: „განსხვავებით თსუ-საგან, ვილნიუსის უნივერსიტეტის პროგრამა ითვალისწინებდა მოდელირებული სასამართლოს კურსებსაც, რამაც დიდი პრაქტიკული ცოდნა დამიტოვა. გარდა ამისა, გვექონდა შეხვედრები ტარტუს უნივერსიტეტის ლექტორებთან, რომლებმაც საინტერესო გამოცდილება გაგვიზიარეს კიბერუსაფრთხოების სამართლის მიმართულებით. სამართლის ამ დარგზე ამომწურავი ინფორმაცია პირველად ვილნიუსში მივიღე. ასევე პატივი მქონდა – შეხვედროდი ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრს, იუსტიციის მინისტრსა და უკრაინის საელჩოს წარმომადგენლებს, რამაც საშუალება მომცა, რომ მიმდინარე კონფლიქტები დიპლომატიური სამართლის ქრისტში გამეანალიზებინა“, – გვიამბობს ის და განსაკუთრებით გამოყოფს სხვადასხვა კულტურისა და ეროვნების სტუდენტთან ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობას.

ანანო ნეფარიძის თქმით, ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სკოლა ორიენტირებული იყო ევროკავშირის სამართალზე, ასევე საერთაშორისო ეკონომიკურ სამართალსა და საკორპორაციო სამართალზე, რამაც ამ მიმართულებით უდიდესი ცოდნა შესძინა. „ლექცია-სემინარებზე ხშირად განვიხილავდით ევროპის წამყვანი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების მსგავსება-განსხვავებებს; თეორიული მასალის პარალელურად, გავდიოდით სასამართლო პროცედურებს, მოდელირებულ პროცესებს კომერციული სარბიტრაჟო სამართლისა და ევროპული სამოქალაქო პროცედურის მიმართულებით, რომელზეც თავად გვინევდა მხარეთა წარმოდგენა და ნორმებთან შესაბამისი

რას ისურვებდა იმისთვის რომ თსუ-ში სასწავლო გარემო მეტად გაუმჯობესდეს? ანანო ფიქრობს, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტებისთვის უფრო მეტი პრაქტიკული შესაძლებლობა უნდა არსებობდეს, მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს აქტივობებზე, რომლებიც თეორიული სწავლების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს სტუდენტს. ამასთან, მისი აზრით, საჭიროა მეტი ყურადღება გამახვილდეს ენობრივი რესურსების ხელმისაწვდომობაზე, მეტი წიგნი ითარგმნოს ქართულ ენაზე, რაც საგნების დამუშავებას სტუდენტებისთვის კიდევ უფრო გაამარტივებს.



# თეკლა მეგრელისთვის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის იდეა პატარაობიდანვე იყო საინტერესო

თამარ ღალიანი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის – თეკლა მეგრელისთვის, სასწავლო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის იდეა პატარაობიდანვე იყო საინტერესო და მიზიდველი. სწავლების პირველივე სემესტრიდან დაიწყო ამ პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შეგროვება. ეს პროცესი თეკლასთვის არც ისე მარტივი აღმოჩნდა.

„მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულია ძირითადი აღწერილობა პროგრამებისა, აპლიკაციის შევსების პროცესში აწყდები უამრავ დეტალს, რომელთა ამოხსნასა და პასუხის გაცემაში მე, პირადად, უფროსკურსელების გამოცდილება ყველაზე მეტად დამეხმარა. უმოკლეს დროში პასუხობდა ჩემს კითხვებს თავად მიმღები უნივერსიტეტიც. ძიების პროცესში შევიტყვე შელსინკის უნივერსიტეტის სასწავლო გაცვლით პროგრამის შესახებ, რომელიც ჩემს ინტერესებსა და მიზნებს ყველაზე მეტად აკმაყოფილებდა“, – გვიამბობს თეკლა და შელსინკის უნივერსიტეტში გატარებულ დროზე გვიყვება, რომელ-

მაც მასზე არა მარტო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, არამედ დიდი გამოცდილებაც შესძინა.

„შელსინკის უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში შეხება მქონდა სხვადასხვა ქვეყნის პრესტიჟული უნივერსიტეტების პროფესორებთან. გავიარე კურსები, რომელთა ნაწილის პირდაპირი ანალოგიც ჩვენთან არ მოიძებნება. ამან კიდევ უფრო გააფართოვა ჩემი თვალთ დახახული სამართლებრივი საქმიანობის ფართო არეალი, იურისტის პროფესიონალური უნარ-ჩვევები და საკუთარ თავში ახალი ინტერესები აღმომაჩინა. საზღვარგარეთ სწავლა, ამასთანავე, გულისხმობს უცხო ქვეყანაში დამოუკიდებლად ცხოვრებას. ვფიქრობ, ეს ორი რამ ადამიანს ძალიან ეხმარება პიროვნულ ზრდასა და სირთულეებთან გამკლავების მექანიზმის დახვეწაში“, – აღნიშნა თეკლა მეგრელმა.

კითხვაზე – თუ რა განსხვავება დაინახა თსუ-სა და შელსინკის უნივერსიტეტის სწავლების მეთოდებს შორის, თეკლამ ასე გვიპასუხა: „თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა მიმდინარეობს სასემინარო-სალექციო ფორმატში. შელსინკის უნივერსიტეტის კურსები მხოლოდ სალექციო შეხვედრებს მოიცავს, თუმცა ამ ფორმატში პროფესორები მაქსიმალურად უზრუნ-



ველყოფენ სტუდენტის ჩართულობას სხვადასხვა საკლასო დავალებებითა და სამუშაოებით. ეს მოდელი საბოლოოდ სტუდენტს აძლევს საშუალებას, ძირითადად, დამოუკიდებლად იმუშაოს და პროდუქტიულად გამოიყენოს შედარებით თავისუფალი სასწავლო განრიგი.

განსხვავებულია საგამოცდო ფორმატიც: შელსინკის უნივერსიტეტი ფინალური დავალებების კუთხით ძირითად აქცენტს კვლევით ნაშრომებსა და სამეცნიერო ესეებზე აკეთებს“, – ამბობს თეკლა, რომელიც სასწავლო პროცესის იმ პრობლემებზეც საუბრობს, რომლის გამოსწორებასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

„ვფიქრობ, უცხოეთის უნივერსიტეტში სწავლამ კიდევ უფრო დამანახა სასწავლო პორტალის გამართულობის ხარისხის მნიშვნელობა. ჩვენთან ხშირია შემთხვევა, როცა სტუდენტები ვერ ახერხებენ ლექტორთან/სასემინარო ჯგუფის ხელმძღვანელთან კონტაქტზე გასვლას. მომენონა შელსინკის უნივერსიტეტის პორტალის ფორმატი, რომლის მიხედვითაც თითოეული კურსისთვის თითოეული კვირის სამუშაო გეგმა ინდივიდუალურადაა წარმოდგენილი და, ცვლილებების შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ ახლდება. ვფიქრობ, ეს მოდელი ბევრად მოსახერხებელია“, – ასე ფიქრობს თეკლა მეგრელი, რომელსაც მიაჩნია, რომ, თეორიული ტიპის გამოცდების ნაცვლად, კვლევითი ესეების სახის დავალებების რიცხვის ზრდა სტუდენტებისთვის უფრო მეტად გამოსადეგი იქნება და მათ ბევრი სასარგებლო უნარ-ჩვევის დახვეწაშიც დაეხმარება.

## კლერმონის ოვერნის უნივერსიტეტში გატარებული ერთი სემესტრი



თამარ ღალიანი

თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სტუდენტი ანა ლაფაჩი როცა პარტნიორი უნივერსიტეტების ჩამონათვალს გავეცნო, არჩევანი კლერმონ-ფერანის უნივერსიტეტზე შეაჩერა, რომლის ეკონომიკის მიმართულებაც ერთ-ერთი წამყვანია საფრანგეთის მასშტაბით. თან ეს ქალაქი საყოველთაოდ ცნობილი ფილოსოფოსის, ბლეს პასკალის დაბადების ადგილია. როგორც ანა ამბობს, ეს მისთვის პირველი მცდელობა იყო და ძალიან გაიხარა, როცა საკონკურსო კომისიამ არჩევანი მასზე შეაჩერა.

„გასაუბრებაზე მაქსიმალურად მომზადებული მივედი. გავეცანი ინფორმაციას საავარუდო მასპინძელი რეგიონის, ქალაქის, უნივერსიტეტის, პროფესორების შესახებ. გასაუბრებაზე კეთილგანწყობილი ატმოსფერო იყო და საშუალება მომეცა მესაუბრა ჩემი მიზნებისა და მოტივაციის შესახებ“, – იხსენებს ანა, რომელიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლობდა ერთი სემესტრით კლერმონის ოვერნის უნივერსი-

ტეტში.

„საზღვარგარეთ ერთი სემესტრით სწავლამ საშუალება მომცა გავცნობოდი ფრანგულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას, ლექცია-სემინარების ჩატარების პრაქტიკას, სტუდენტურ ცხოვრებას. ასევე, ჩემთვის ღირებულია სხვადასხვა ქვეყნიდან აქ ჩამოსულ სტუდენტებთან ურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება“, – ამბობს ანა, რომელსაც თსუ-ში სწავლამაც წამდვილად დიდი ცოდნა და გამოცდილება მისცა: „მიმაჩნია, რომ აკადემიური სწავლების დონით ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესოა. შესაბამისად, ყველა საგნის სწავლისთვის შესაბამისი საფუძველი მქონდა.

თსუ-ში გვაქვს სილაბუსი, რომელშიც მითითებულია ძირითადი სახელმძღვანელოებით შესაძლებლობა გვაქვს შესაბამისი თემები შევისწავლოთ. ლექტორების უმრავლესობა, ასევე, საპრეზენტაციო მასალას გვანვდის. კლერმონის ოვერნის უნივერსიტეტში კი ეს პროცესი ცოტა სხვანაირად ხდება. ფრანგი პროფესორები, სახელმძღვანელოს მითითებებთან ერთად, აქცენტს ლექციის შინაარსის ჩანიშვნასა და საკუთარი ნაშრომების გაცნობაზე აკეთებდნენ. ერთ-ერთ საგანს ორი ლექტორი გვასწავლიდა და, შესაბამისად, კომპლექსური მიდგომით გვიწვდებოდა სწავლა. ყველა საგანში გვქონდა პრეზენტაციები მოსამზადებელი. ასევე, სასიაშოვნო იყო, რომ საშუალება მომეცეს, უფრო კარგად შემეხსნავლა ფრანგული ენა და გავცნობოდი ფრანგულ კულტურას“, – იხსენებს ანა ლაფაჩი, რომლის სურვილია თსუ-ში უფრო მეტი სტუდენტური სივრცეების მოწყობა და მათზე ზრუნვა. ის თვლის, რომ უფრო მეტად უნდა იყოს ნახაღისებული სტუდენტების სამეცნიერო და კულტურულ აქტივობებში ჩართვა. ამ აქტივობებში მონაწილეობის მიღების ინტერესი თვითონაც აქვს და ახლო მომავალში ამას აუცილებლად გააკეთებს.

## თსუ-მ საერთაშორისო შემეცნებითი CERN/IPPOG მასტერკლასების 2025 წლის სესიების მეორე შეხვედრას უმასპინძლა



მასტერკლასების მიზანს წარმოადგენს მეცნიერების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა თაობების მოზიდვა და დაინტერესება ფუნდამენტური კვლევებით. CERN-ის მეთოდით ჩატარებული ვორქშოპის ფარგლებში მოზარდებს, უცხოელ თანატოლებთან ერთად, საკუთარი უნარების წარმოჩენისა და შეფასების შესაძლებლობა ჰქონდათ.

თბილისის სხვადასხვა სკოლის მონაწილეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო მასტერკლასი უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ კახაბერ

ჭეიშვილმა და საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა მარინა ლომოურმა გახსნეს.

CERN/IPPOG-ის მასტერკლასები საქართველოში ყოველწლიურად იმართება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაციისა (CERN) და მის ბაზაზე მოქმედ ნაწილაკების ფიზიკის საერთაშორისო საინფორმაციო ჯგუფთან (IPPOG) თანამშრომლობის ფარგლებში. პროექტი სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.



# რას ფიქრობს თსუ-ზე ესპანეთიდან დაბრუნებული რევაზ ჩაჩავა

ბაია ბორაძე

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ესპანისტიკის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტმა რევაზ ჩაჩავამ თსუ-ს მიერ გამოცხადებულ უცხო ენის ინსტიტუციურ ტესტირებაში მიიღო მონაწილეობა და წარმატებით ჩააბარა ესპანური ენის B2 დონის გამოცდა. ამის შემდეგ იგი კადისის (ესპანეთი) უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსით დაინტერესდა. გასაუბრების ეტაპისა და მიმდები უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილი ენის ცოდნის დამადასტურებელი ტესტის დაწერის შემდეგ, კადისის უნივერსიტეტმა რევაზის კანდიდატურა მიიღო. „ესპანეთში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის მხოლოდ კონკურსის გავლა და მიმდები უნივერსიტეტის თანხმობა არაა საკმარისი. საჭიროა სავიზო პროცედურების გავლა, რაც სირთულეს წარმოადგენს იმ სტუდენტთათვის, რომელთაც სწავლის გაგრძელება ესპანეთში სურთ, რადგან ვიზის გამცემ უფლებამოსილ ორგანოს თურქეთის ქალაქ სტამბულში მდებარე ესპანეთის გენერალური საკონსული წარმოადგენს, ხოლო, როგორც განაცხადის შესატანად, ისევე ვიზის მისაღებად, სტამბულში ჩასვლაა საჭირო. შესაბამისად, სირთულე სწორედ სავიზო განაცხადის გაკეთებისთვის საბუთების მოგროვება და სტამბულში ჩასვლაა. თავად კონკურსის გავლაც გარკვეულ სირთულეებთანა დაკავშირებული მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი საბუთების სიმრავლის გამო, თუმცა ეტაპობრივი დაგეგმვითა და მოთმინებით სასურველი შედეგი აუცილებლად მიიღწევა“, – ამბობს რევაზი.



ვისი ქვეყნის განვითარებას მოახმარს. მისი აზრით, ეს ერთი სემესტრი გაბედული ნაბიჯია – გახდეს კონკურენტუნარიანი და თამამად შეაბიჯო შრომის ბაზარზე. „პირადად მე, საზღვარგარეთ გატარებულმა ერთმა სემესტრმა საშუალება მომცა გამეღრმავებინა ცოდნა ჩემს პროფესიაში, განათლება მიმელო იმ ენაზე, რომელსაც ვიკვლევთ თსუ-ში (ესპანური), გამეცნო ესპანეთი, შემეხსენებინა ესპანელი ხალხის ხასიათი და მენახა ამ ქვეყნის რეგიონული მრავალფეროვნება; მეორე მხრივ კი – კიდევ უფრო დამეფასებინა ჩემი სამშობლო, ქართული ენა, ჩვენი მიერ განვლილი გზა და ჩვენი ქვეყნის მიღწევები სხვადასხვა სფეროში. ამასთან, ერასმუსის პროგრამის საშუალებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს – გაიცნოს ადამიანები მსოფლიოს მრავალი წერტილიდან, რაც ცოდნის გაზიარებისა და შემდეგ მისი ტრანსფერის საშუალებას იძლევა“, – ამბობს იგი ჩვენთან საუბარში.

კითხვაზე, თუ რა განსხვავება დაინახა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კადისის უნივერსიტეტის სწავლების მეთოდებს შორის, რევაზი ამბობს, რომ სწავლების მეთოდები ეს-

“**მიმდებ უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარებას, აუდიტორიების, ღია სივრცეების, საკონფერენციო დარბაზების კეთილმოწყობას დიდი ყურადღება ექცევა; ამასთან, სტუდენტებს, მათი სოციალური სტატუსისა და ოჯახის შეძლების პროპორციულად, სტიპენდიები ენიჭებათ, ხოლო, ყველა საგნის ჩაბარების შემთხვევაში, თავისუფლდებიან საუნივერსიტეტო გადასახადისგან. მიუხედავად იმისა, რომ კადისის უნივერსიტეტის ბიუჯეტი ბევრად აღემატება ჩვენი უნივერსიტეტისას, ვფიქრობ, შესაძლებელია გარკვეული თანხების გამოყოფა ამ პრობლემების გადასაჭრელად.**

პანეთის უნივერსიტეტში ინკლუზიური და ფოკუსირებულია სტუდენტის თვითგანვითარებაზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროფესორებთან ერთად, აორგანიზებს ექსკურსიებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს აუდიტორიის გარეთ. ამასთან სტუდენტები არ წერენ შუალედურ გამოცდებს, გარდა იმისა (შესაძლებელი 10 ქულიდან 7 ქულა გამოცდას ენიჭება). ამასთან, მოქნილი გრაფიკი მუშაობისა და სხვადასხვა სახის, მათ შორის, სოციალური უნარების გამოუმუშავების საშუალებას იძლევა. მისი თქმით, ამ გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მას სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მისცა: „თსუ-ში სწავლა უდიდესი შესაძლებლობაა, გამოცდილება, პატივი და პასუხისმგებლობაა. უნივერსიტეტში სწავლამ საშუალება მომცა მიმელო სა-

ფუძვლიანი ცოდნა და განვითარებულიყავი ჩემს პროფესიაში, გამეცნო კვალიფიციური პროფესორი და მომავალი კოლეგები, მიმელო თეორიული ცოდნა, მესწავლა მისი პრაქტიკაში გამოყენება მრავალი აქტივობის თუ ღონისძიების მეშვეობით, რომელთა უმეტესობაც ჩვენი პროფესორების მიერ იყო ორგანიზებული. ამასთან, მომეცა საშუალება, ამერჩია დამატებითი სპეციალობა (პოლიტიკის მეცნიერებები) სხვა ფაკულტეტიდან (ეს ესპანურ უნივერსიტეტში შეუძლებელია როგორც იურიდიულად, ისე ფიზიკურად ფაკულტეტების სხვადასხვა ქალაქში მდებარეობის გამო), მომეხდინა ცოდნის ტრანსფერი და შემეცნა ბაზისი მომავალი პროფესიული თუ პიროვნული განვითარებისთვის“, – ამბობს იგი და დასძენს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწავლების ხარისხით არ ჩამოუვარდება ევროპულ უნივერსიტეტებს, პრობლემა მხოლოდ ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და სტუდენტებისთვის ფინანსური მხარდაჭერის სიმწირეა.

„მიმდებ უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარებას, აუდიტორიების, ღია სივრცეების, საკონფერენციო დარბაზების კეთილმოწყობას დიდი ყურადღება ექცევა; ამასთან, სტუდენტებს, მათი სოციალური სტატუსისა და ოჯახის შეძლების პროპორციულად, სტიპენდიები ენიჭებათ, ხოლო, ყველა საგნის ჩაბარების შემთხვევაში, თავისუფლდებიან საუნივერსიტეტო გადასახადისგან. მიუხედავად იმისა, რომ კადისის უნივერსიტეტის ბიუჯეტი ბევრად აღემატება ჩვენი უნივერსიტეტისას, ვფიქრობ, შესაძლებელია გარკვეული თანხების გამოყოფა ამ პრობლემების გადასაჭრელად“.

რევაზის აზრით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბოლო პერიოდში სწორედ ამ გზას ადგას და თანდათანობით შეიმჩნევა სტუდენტური სივრცეებისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესების ტენდენცია, რაც ძალიან მაღე შექმნის სასურველ მოცემულობას.

## საბა სამუშია უკვე მეორედ გახდა გაცვლითი პროგრამების კონკურსის გამარჯვებული

ბონი რაჩაძე

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტი საბა სამუშია უკვე მეორედ გახდა გაცვლითი პროგრამების კონკურსის გამარჯვებული. ჩვენთვის, პრადის უნივერსიტეტში სწავლიდან ზუსტად 1 წლის შემდეგ საბა პარიზში გაემგზავრა და ამჯერად იქ გაიარა სემესტრი, თანაც ფრანგულ ენაზე. იგი გაეცნო ევროპის მიგრაციის პოლიტიკას, აზიის ქვეყნების გეოპოლიტიკას, დემოკრატიის თეორიებსა და ფრანგული ენის სიღრმისეულ გრამატიკას. კლასგარეშე აქტივობებიდან ფარიკაობაც სცადა და საბოლოოდ მრავალფეროვანი გამოცდილებით დაბრუნდა სამშობლოში.

როგორც საბა გვიყვება, საფრანგეთში სწავლა მისთვის ბავშვობის ოცნება იყო, თუმცა, ამავდროულად, ძალიან მკაფიოდ განსაზღვრული მიზანიც, რომლისთვისაც მთელი ცხოვრება შრომობდა. „ბევრი წელია, ჩემი ლოკალური საფრანგეთი მაქვს შექმნილი – ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა სოფელში

ვცხოვრობდი და ფრანგი თვალთ ნანახიც არ მყავდა. რასაც ახლა ვგრძნობ, არის დიდი სიხარული და (გაკვადნიერდები) ცოტა სიამაყეც“, – გვითხრა მან. ამჟამად მასწავლებელია – უკვე წლებია ფრანგულ ენას და ისტორიას ასწავლის დაინტერესებულ ადამიანებს.

პრალასა და პარიზში სწავლისას საბამ რამდენიმე საინტერესო ასპექტზე გაამახვილა ყურადღება – მაგალითად, მისი თქმით, შესამჩნევია სტუდენტების თავისუფლების ბევრად დიდი ხარისხი და კლასგარეშე აქტივობების ბევრად ფართო არჩევანი, ვიდრე ეს თბილისშია. თავად საბა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფარიკაობის კლუბს შეუერთდა, ასევე სპორტულ ცენტრში დაეწინაურა წარმოდგენებს, რომლის ბილეთების შექენასაც უნივერსიტეტი უფინანსებდა.

საბას მშობლიურ და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სწავლის გამოცდილების შედარება ვთხოვეთ, მან კი ასე გვიპასუხა. „ამაზე საუბარი დიდხანს შეიძლება, რადგან განათლების პოლიტიკა ძალიან მაინტერესებს და სიღრმისეულად ვცდილობდი – დავკვირვებოდი მსგავსება-განსხვავებებს. ძირითადი განსხვავება ლექცია-სემინარების წარმართვის პრინციპებშია – ფრანგული



ტრადიციაა, რომ ლექციაზე მხოლოდ ლექტორი საუბრობს და სტუდენტი ყველაფერს ინერს. ინტერაქცია ნაკლებად გვქონდა პროფესორებთან, რითაც ძალიან განსხვავდებოდა ეს გამოცდილება ქართული და ჩეხური გამოცდილებისგან. განსხვავებული იყო შეფასების სისტემა და კრედიტთა გადანაწილება“. მისი თქმით, პრადის უნივერსიტეტსა და პარიზის უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ეთმობოდა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. „ერასმუს +“ გაცვლითი პროგრამის სიკეთეებზე საუბრისას, საბამ ხაზი გა-

უსვა, რომ განვითარებად სამყაროში სიახლეების ძალიან სწრაფად ათვისება მხოლოდ ქართული ენით შეუძლებელია, ამიტომ პროფესიული ზრდისთვის აუცილებელია მინიმუმ ინგლისურისა და კიდევ ერთი ენის ცოდნა. „ერასმუსი შანსია – გავეცნოთ სხვა ქვეყნების კულტურას, ტრადიციებსა და საზოგადოებას, მაგრამ, გარდა ამისა, ესაა საშუალება – დავხვეწოთ ჩვენი ენობრივი კომპეტენციები, რათა უფრო კონკურენტუნარიანი ვიყოთ საერთაშორისო ბაზარზე. ასევე, ერთ-ერთი მთავარი ბენეფიტია სოციალური წრის შექმნის შესაძლებლობა“, – აღნიშნა მან.

ბოლოს საბას ვკითხეთ – თუ რის განალიზებაში დაეხმარა განვლილი დრო ყველაზე მეტად:

„ვიქნები ბანალურად ლაკონური და ვიტყვი, რომ ეს დრო „მინის ყივილის“ მართებულობის დასადგენად დამეხმარა. პარიზშიც კი ჩემი სოფელი მენატრებოდა და ის ხალხი, რომელიც აქ მელოდა. სახლს განსაკუთრებით მაშინ ვაფასებთ, როცა მისგან შორს ვართ. თუმცა, რასაკვირველია, პარიზი საქართველოში ჩამოფრენის წამიდან მენატრება – ყველა ფრანკოფილმა იცის, რას ნიშნავს, გიყვარდეს საფრანგეთი...“

# ახალი გამოკვლევა აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებებზე


თამარ ღალიანი

აფხაზური და ოსური ენები იუნესკოს ენათა დეპარტამენტის მიერ გადაშენების საფრთხის პირას მყოფ ენებად არის აღიარებული. ამ პრობლემაზე აქცენტირებით ფილოლოგიის დოქტორმა, თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა ნინო პოპიაშვილმა ახალი გამოკვლევა მიუძღვნა აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებებს. ამ საკითხების კვლევაზე მას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი აქვს, მაგრამ ახალი კვლევა პირველი კომპლექსური სამეცნიერო გამოკვლევაა და წარმოადგენს მეცნიერულად შეუსწავლელ საკითხს. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებები მე-18 საუკუნიდან, ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, საბჭოთა ეპოქასა და პოსტსაბჭოთა საქართველოში. კვლევაში სათანადო ადგილი ეთმობა აფხაზური და ოსური ენების სწავლების თანამედროვე მდგომარეობას როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და სამხრეთ ოსეთში.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, გადაიდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი: კერძოდ, ქართულ ენაში მომზადების საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამაში 2016 წლიდან უკვე შესაძლებელია ჩაერთონ აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი აბიტურიენტები; აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში და ოსურ ენასა და ლიტერატურაში დაწესებულია ერთიანი ეროვნული გამოცდები; 2017 წლიდან მოქმედებს სპეციალური პროგრამები აბიტურიენტებისათვის და სხვ. ეს საკითხები დღემდე არ ყოფილა სამეცნიერო განხილვის საგანი, რაც ჩემი ერთ-ერთი მოტივაცია იყო – შემესწავლა აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებების ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა“, – ამბობს მკვლევარი.

ნაშრომში, როგორც აღვნიშნეთ, განხილულია აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებები მე-18 საუკუნიდან თანამედროვე ეპოქის ჩათვლით. ნაშრომიდან ჩვენი აქცენტი მიმართულია აფხაზური და ოსური ენების სწავლების ანალიზზე პოსტსაბჭოთა საქართველოში. „კვლევა დაყვავით ორ ნაწილად: აფხაზური და ოსური ენების სწავლება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და აფხაზური და ოსური ენების სწავლება საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩავატარეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები, დეაკვირდი საგაკვეთილო პროცესებს, შევხვედით მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სკოლების ადმინისტრაციას.

რასაკვირველია, ჩვენთვის გამონევეა იყო კვლევების ჩატარება საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, რაც მოვახერხეთ ჩვენი მრავალწლიანი მუშაობისა და თანამშრომლობის შედეგად. მოვიპოვეთ სტატისტიკური მონაცემები აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ეს მონაცემები პირველად შეიძლება ქართულ სამეცნიერო სივრცეში. სტატისტიკური მონაცემები ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების მიხედვით დამუშავდა ჩვენ მიერ, კერძოდ, ყურადღება მივაქციეთ საგანმანათლებლო სივრცეს, სკოლამ-



**მე-20 საუკუნის 20-50-იან წლებში აფხაზური და ოსური ანბანების ცვლილებები ხასიათდებოდა მსგავსი ტენდენციებით და განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკით. კერძოდ, ანბანთა საერთო ლათინიზაციის პროცესით და შემდგომ ლათინური ანბანის გამოყენების დაგმობის გამო შეიცვალა აფხაზური და ოსური ენებისათვის სასწავლო მასალები, ვერ შემუშავდა დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო სახელმძღვანელოები, რამაც გამოიწვია რუსულენოვანი სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების ჰეგემონიზაცია.**

დელ, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებას, განსაკუთრებულად დავამუშავეთ აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხები“, – აღნიშნავს ნინო პოპიაშვილი.

### რა აჩვენა კვლევამ?

„ჩვენმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ აფხაზური და ოსური ენების სწავლება დასაწყისიდანვე მიმდინარეობდა ქართული საგანმანათლებლო სივრცეების ჩართულობით და აქტიური მონაწილეობით. აფხაზური და ოსური ენებისათვის მე-18/მე-19 საუკუნეებში პარალელურად შეიქმნა სლავეური და ქართული ანბანების საფუძველზე ორი ანბანი. აფხაზურის შემთხვევაში ქართული ანბანი ამ პერიოდში არ გამოიყენებოდა, ხოლო ოსურის შემთხვევაში ქართული (ნუსხური და მხედრული) დამწერლობები გამოიყენებოდა სამხრეთით მცხოვრებთათვის. ქართულ შრიფტზე დაფუძნებული ანბანით გამოიყენებოდა ნიგნები, იწერებოდა სახელმწიფო დოკუმენტები... აფხაზური და ოსური ენების სწავლებისას რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის საგანმანათლებლო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ურთიერთმსგავსია. აფხაზური და ოსური ენების სწავლებასთან ერთად, ჯერ რუსეთის იმპერიაში, შემდგომ – საბჭოთა კავშირში და დღესაც, ძირითადად, გამოიყენება რუსულენოვანი სწავლება. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ.წ.) არსებობდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენებისა და ამ ენებზე სწავლების შესაძლებლობები.

მე-20 საუკუნის 20-50-იან წლებში აფხაზური და ოსური ანბანების ცვლილებები ხასიათდებოდა მსგავსი ტენ-

დენციებით და განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკით. კერძოდ, ანბანთა საერთო ლათინიზაციის პროცესით და შემდგომ ლათინური ანბანის გამოყენების დაგმობის გამო შეიცვალა აფხაზური და ოსური ენებისათვის სასწავლო მასალები, ვერ შემუშავდა დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო სახელმძღვანელოები, რამაც გამოიწვია რუსულენოვანი სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების ჰეგემონიზაცია.

მე-20 საუკუნის 30-50-იან წლებში აფხაზური და ოსური ენებისათვის (სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე) გამოიყენებოდა ქართული ანბანი, ხოლო ძირითადი სწავლების ენა იყო ქართული. 1954 წლიდან კვლავ შეიცვალა აფხაზური და ოსური ენების ანბანი და ძირითადი სწავლების ენა – რუსული. აფხაზური და ოსური ანბანების ხშირი ცვლილება საფრთხეს უქმნიდა აფხაზურ და ოსურენოვან საგანმანათლებლო პროცესს, ორიგინალური აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ლიტერატურის შექმნას. მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლებში აფხაზური და ოსური ენების სწავლება ხასიათდებდა სტაბილიზაციით. ამ პერიოდში აღარ ხდებდა ანბანთა ცვლილება, გამოიყენა სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, აფხაზი და ოსი ახალგაზრდა მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლას აგრძელებს თბილისის უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში წარმოქმნილია ქართულ-ოსურმა და ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტებმა და შეიარაღებულმა დაპირისპირებებმა, ასევე, 2008 წლის ომმა, მნიშვნელოვნად დააზარალა საგანმანათლებლო პროცე-

სები, მათ შორის, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და ქართულენოვანი განათლებები.

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური და ოსური ენების სწავლება მიმდინარეობს რამდენიმე საჯარო სკოლასა და უნივერსიტეტში. სკოლებში ენის სწავლებას არ აქვს ოფიციალური ენის სტატუსი. აფხაზური და ოსური ენების მასწავლებლებისათვის არ ტარდება მეთოდური ტრენინგები. საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური და ოსური ენები შესაბამის სკოლებში ისწავლება სავალდებულო სტატუსით დაწყებით სკოლაში, ხოლო შემდგომ სწავლების ძირითადი ენა არის რუსული. აფხაზური და ოსური ენები და ლიტერატურები ისწავლება ბოლო კლასის ჩათვლით.

საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, კერძოდ, გალისა და ახალგორის/ლენინგორის რაიონებში ქართულენოვან მოსახლეობას შეზღუდული აქვს ქართულ ენაზე სასკოლო განათლების მიღების საშუალება. ორივე რაიონში შეინიშნება ქართულენოვანი სასკოლო განათლების შეზღუდვის ტენდენცია. საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს რამდენიმე ინიციატივასა და პროგრამას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისათვის. აფხაზ და ოს ახალგაზრდებს შეზღუდული აქვთ საერთაშორისო განათლების მიღების შესაძლებლობა.

აფხაზური და ოსური ენები გადაშენების საფრთხის პირას მყოფი ენებია. ამკარაა, რომ ამ ენებზე სულ უფრო მცირდება ახალი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, ლიტერატურული და სამეცნიერო ტექსტების თარგმანა. რუსული ენა დიდ გავლენას ახდენს აფხაზური და ოსური ენების მოხმარებაზე, რუსულენოვანი სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება იწვევს აფხაზურ და ოსურ ენებზე ორიგინალური ლიტერატურისა და თარგმანების შემცირების ტენდენციას. აფხაზური და ოსური ენების სწავლება, როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საჭიროებს გაუმჯობესებას“, – აღნიშნულია ნინო პოპიაშვილის მიერ წარმოებულ კვლევაში.



საკვალიფიკაციო ნაშრომი – „აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებები“ – თსუ-ს ლექტორმა ნინო პოპიაშვილმა ახლახანს წარმოადგინა და მას განათლების მეცნიერებების დოქტორის ხარისხი მიენიჭა. როგორც ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი აცხადებს – საკითხის ობიექტურად და სიღრმისეულად შესწავლა მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქართული პედაგოგიური ისტორიისათვის, ასევე, აფხაზური და ოსური ენების სწავლების როგორც ისტორიის, ისე სამომავლო პერსპექტივებისათვის.



# „ახალი ტექნოლოგიები – გამოწვევები განათლების სისტემისთვის“

თამარ ღალიანი

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშიდან (WEF, 2023) ცნობილია, რომ ამჟამად დასაქმებულთა უნარების 44% აღარ იქნება საჭირო მომდევნო ხუთი წლის შემდგომ; 10 დასაქმებულადან 6 მათგანს დასაქმდება ტრენინგი 2027 წლამდე, მაგრამ დღეს დასაქმებულთა მხოლოდ ნახევარს აქვს წვდომა ადექვატურ ტრენინგზე; ბიზნესის წარმომადგენლები პესიმისტურად უყურებენ განვითარების შესაძლებლობებს იმის გამო, რომ შრომით ბაზარზე არაა ხელმისაწვდომი სათანადო უნარების მქონე სამუშაო ძალა და სხვა“, – ამის შესახება საუბარი თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ინეზა გაგნიძის მოხსენებაში („ახალი ტექნოლოგიები – გამოწვევები განათლების სისტემისთვის“), რომელიც მან იტალიის ქალაქ ვარეზეში, ინსუბრიის უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტში ჩატარებულ მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობისას გააკეთა. ინსუბრიის უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ბიზნეს სისტემების ლაბორატორიის (Business Systems Laboratory) მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმში გაიმართა სახელწოდებით – „ტექნოლოგია და საზოგადოება: სიკეთე თუ განსაცდელი?“

მომხსენებელმა ზემოთ აღნიშნული მოსალოდნელი სირთულეების საპასუხო დაინახა უნივერსიტეტების განსაკუთრებული როლი. ამის შესახებ ვრცლად იქნება მოთხრობილი Springer წიგნების სერიულ გამოცემაში, სადაც ინეზა გაგნიძის ნაშრომი გამზადებულია დასაბეჭდად.

ქალბატონმა ინეზამ ისაუბრა იმ საკითხებზეც, თუ როგორ შეცვალა ტექნოლოგიამ ჩვენი ურთიერთობები, ცხოვრების წესი, სამუშაო გარემო, სოციალური კავშირები და ბიზნეს ოპერაციები. „ტექნოლოგია აგრძელებს განვითარებას, გვპირდება ახალ წინსვლას, რომელიც შეცვლის ჩვენს ცხოვრებასა და პროფესიულ პეიზაჟებს. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია ხელს უწყობს უწყვეტ კომუნიკაციას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოგზაურობას, იდეების გაზიარებას, ცოდნის შექმნისას იზრდება შიში – საზოგადოებაზე მისი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების შესახებ მომავალში. აღსანიშნავია, რომ შემოთქმულია ნარმოიშვა ხელოვნური ინტელექტის (AI) და ავტომატიზაციის პოტენციურ უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით. აღნიშნულის გარდა, დიდია სოციალური მედიის გავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, რაც მზარდი შემფოთების საგანია. ტექნოლოგიის სოციალ-



ური ეფექტი შეიძლება იყოს როგორც მომგებიანი, ასევე საზიანო“, – აღნიშნა ასოცირებულმა პროფესორმა ინეზა გაგნიძემ.

სიმპოზიუმში – „ტექნოლოგია და საზოგადოება: სიკეთე თუ განსაცდელი?“ – ქართველ მომხსენებლებთან ერთად 20-მდე ქვეყნის 80-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

როგორც პროფესორმა ინეზა გაგნიძემ აღნიშნა: „BSLab Symposium 2025 შეეცადა წარმოეჩინა საზოგადოებაზე ტექნოლოგიის დადებითი და უარყოფითი გავლენები.

„ლონისძიების მიზანი იყო ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებს

შორის რთული ურთიერთქმედების გაშუქება – მიეღო მულტიდისციპლინურ მიდგომათა მრავალფეროვნება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სფეროებს, როგორცაა მენეჯმენტი, ეკონომიკა, სოციოლოგია, ქცევითი მეცნიერება, ფსიქოლოგია, ეთიკა, ინჟინერია, დიზაინი, განათლება და სხვა.

აღნიშნულ სიმპოზიუმებზე თსუ-ს დელეგაცია პირველივე ღონისძიებიდან უწყვეტად მონაწილეობს, რასაც მალევე მოჰყვა შედეგები. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი არჩეულია ბიზნეს სისტემების ლაბორატორიის სამეცნიერო საბჭოს წევრებად (<http://www.bsllaboratory.net/WEB/Scientific%20Board.htm>), სამეცნიერო საზოგადოებასთან დაკავშირებული მაღალრეიტინგული ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრებად და სხვა. უცხოელ კოლეგებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია ერთობლივი სტატიები იმპაქტფაქტორიან და აღიარებულ გამომცემლობებში დაბეჭდილი სტატიები და მოხსენებები (მ.შ. Kybernetes; Springer book of proceedings და ა.შ.). – განაცხადა ინეზა გაგნიძემ, რომელიც სიმპოზიუმის ერთი სექციის „ნავიგაცია მომავალში: აღმოცენებადი ტექნოლოგიების ეკონომიკური გავლენა“ ხელმძღვანელი და მეორე სექციის თანახელმძღვანელი იყო.

## ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემია პროფესორ ოთარ ჯოხაძეს მიენიჭა

მაია ბორაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გასულ თვეში კონკურსის შედეგად გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების ლაურეატები გამოავლინა სხვადასხვა დარგში; მათ შორისაა თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ჯოხაძე, რომელსაც ნაშრომთა ციკლისათვის – „მათემატიკური ფიზიკის ცნობილი კვაზინრფივი განტოლებების ამონახსნთა თვისებრივი და სტრუქტურული გამოკვლევა“ – მათემატიკისა და მექანიკის დარგში აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის აკადემიური პრემია მიენიჭა.

წარდგინებაში, რომელსაც ცნობილი მეცნიერები, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები – თამაზ თადემაძე, სერგო ხარიბეგაშვილი და ილია თავხელიძე აწერენ ხელს, დასაბუთებულია ნაშრომთა ციკლის მეცნიერული ღირებულება. მათი აზრით, ოთარ ჯოხაძის მიერ მიღებული მეცნიერული შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს არანრფივი სასაზღვრო ამოცანების კვლევის მიმართულებით: „ბუნებაში მიმდინარე მრავალი ფიზიკური პროცესისა თუ მოვლენის მათემატიკური მოდელი, ხშირ შემთხვევაში, არანრფივი კერძონარმოებულნიანი დიფერენციალური განტოლებებით აღიწერება. მათ რიცხვს მიეკუთვნება გაზის დინამიკის, კერძოდ, კარმანისა და სიმის რხევის (ლიუვილის, სინ-გორდონის) არანრფივი განტოლებები. მათთვის სტრუქტურული და თვისებრივი თეორიის დამუშავება როგორც ტექნიკურ, ასევე თეორიულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. პრობლემის აქტუალობისა და სირთულიდან გამომდინარე აღნიშნული მიმართულებით გადადგმული



თუნდაც მცირეოდენი ნაბიჯიც კი მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ასეთი შედეგებია მიღებული ოთარ ჯოხაძის მიერ წარმოდგენილ ნაშრომთა ციკლში“, – ნათქვამია წერილში.

ოთარ ჯოხაძის მიერ საკონკურსოდ წარდგენილ ნაშრომებს მაღალ მეცნიერულ შეფასებას აძლევს ექსპერტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჯანგველაძე. მისი თქმით, „ნაშრომთა ციკლში მიღებული ორიგინალური შედეგები, რომლებიც დარგში მომუშავე მეცნიერთა დიდი ინტერესის საგანი გახდება. მათ ფართო გამოყენება ექნება სხვადასხვა დარგის იმ პრობლემების შესწავლასა და გაანალიზებაში, რომელთა მათემატიკური მოდელი შესაბამისი არანრფივი კერძონარმოებულნიანი დიფერენციალური განტოლებებით აღიწერება“.

პროფესორ ოთარ ჯოხაძის სამეცნიერო საქმიანობა და წარმატებები არაერთი წლის თავდაუზოგავი შრომისა და გარჯის შედეგია. როგორც თავად აღნიშნავს, მას მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესი და განსაკუთრებული სიყვარული ბავშვობიდანვე ჯერ სოფელ შუქურთისა და შემდგომ უკვე ჭიათურის მეორე საშუალო სკოლაში სწავლისას ჩამოუყალიბდა. ეს სწრაფვა იმდენად ურყევი იყო, რომ ოქროს მედალზე სკოლადაშორებულმა ახალგაზრდამ

იმ პერიოდისათვის „პოპულარულ“ ფაკულტეტებს გვერდი აუარა და ერთი გამოცდის წარმატებით (ფრიადზე) ჩაბარების პრივილეგია მისთვის საყვარელი დარგისათვის აირჩია. ასე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით (წითელ დიპლომზე) დაამთავრა.

შემდგომ ოთარ ჯოხაძემ სწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განტოლებების განყოფილების ასპირანტურაში განაგრძო, სადაც იგი გახლდათ აკად. ი. ვეკუას პირველი სახელობითი სამეცნიერო ასპირანტურის დამთავრებისთანავე წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სანყის-მახასიათებელი ამოცანები ჰიპერბოლური და შერეული ტიპის კვაზინრფივი განტოლებებისათვის“ და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მისი სადოქტორო დისერტაციის თემა გახლდათ „სასაზღვრო ამოცანები მაღალი რიგის ნრფივი ჰიპერბოლური ტიპის განტოლებებისა და სისტემებისათვის“, რომლის წარმატებით დაცვის შემდეგ მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მას თსუ-ს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე აქვს დოცენტისა და პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური ნოდებები.

ოთარ ჯოხაძემ სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერთანამშრომლად, შემდგომ წლებში კი იყო ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. სხვადასხვა პერიოდში პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს ტექნიკურ და ილიას უნივერსიტეტებში. ამჟამად პროფესორი ოთარ ჯოხაძე თსუ-ს ასოცირებული პროფესორი და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნი-

ერ-თანამშრომელია. აღსანიშნავია, რომ იგი მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე, რამდენიმე სამეცნიერო გრანტის მფლობელი და 80-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, რომელთა შორის 50-ზე მეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებშია გამოქვეყნებული.

„ეს პრემია დიდი პატივია მათემატიკისა და მექანიკის დარგში მოღვაწე ყველა მეცნიერისათვის. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, ფიზიკა-მათემატიკის განყოფილებას და, ზოგადად, ყველას, ჩემი მოკრძალებული მეცნიერული მოღვაწეობის ესოდენ მაღალ შეფასებისა და პრემიის მონიჭებისათვის. პრობლემატიკით, რომელსაც ნაშრომთა ეს ციკლი მიეძღვნა, ჯერ კიდევ სტუდენტობიდან ვიყავი დაინტერესებული. მე ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი კლასიკოსებს – ილია ვეკუასა და ნიკო მუსხელიშვილს. მათი ავტორიტეტი ბევრს ნიშნავდა ჩემთვის, როგორც მომავალი მათემატიკოსისათვის. ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ჩემმა მასწავლებლებმა – ცნობილმა მეცნიერებმა და პედაგოგებმა, აკადემიკოსებმა – ვიქტორ კუპრაძემ, ივანე კილურაძემ, ანდრო ბიწაძემ, პროფესორმა ჯონდო გვაზავამ და სხვ. თითქმის ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც ამ პრობლემატიკაზე ვმუშაობ. ნაშრომთა ციკლის დასრულება კი პანდემიის პერიოდში მოვახერხე და მიხარია, რომ მან ასეთი მაღალი შეფასება დაიმსახურა. უდიდესი მადლიერების გრძობა გამაჩნია ჩემი დედა უნივერსიტეტისა და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მიმართ, სადაც ყველა პირობა მაქვს შექმნილი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. მოკრძალებულად ვიტყვი, რომ მაქვს ხედვები, რომელთა განსახორციელებლად ეს პრემია დიდი სტიმულისა და ენთუზიაზმის მომცემია“, – გვითხრა პროფესორმა ოთარ ჯოხაძემ.



მანია ტორაძე

# ქართული ჩვეულებითი (სახალხო) სამართლის მეცნიერული კვლევის მებაღე

27 თებერვალს თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე კიდევ ერთხელ გაიხსენეს და დამსახურებული პატივი მიაცემეს ღვაწლმოსილ პედაგოგს, იურისტთა არაერთი თაობის აღმზრდელსა და სამშობლოზე, საკუთარ პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულ პიროვნებას, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მიხეილ (მიხაკო) კეკელიას. ამავე ღონისძიებაზე იქნა წარდგენილი მრავალტომეულის – „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“ – მეხუთე წიგნი. ეს სქელტანიანი გამოცემა (1270 გვერდი), რომელიც ბატონი მიხეილის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა, ბოლო მიხეილა ხუთტომეულიდან, რომელზე მუშაობაც მეცნიერთა ჯგუფმა ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო იმ პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანიც გასულ საუკუნეში მოღვაწე 5 დიდი ქართველი იურისტის ღვაწლის წარმოჩენა იყო. კერძოდ, გამოცემები მიეძღვნა: 1947-1983 წლებში იურიდიულ ფაკულტეტზე სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგის პროფ. ივანე სურგულაძის, აკადემიკოს ისიდორე დოლიძის, პროფესორების: დავით ფურცელაძის, გიორგი ნადარეიშვილისა და მიხეილ კეკელიას კოლოსალურ შრომასა და ბრწყინვალე შემოქმედებით მემკვიდრეობას. მათ მთელი ცხოვრება ქართველი ხალხის უნიკალური სამართლებრივი მემკვიდრეობის კვლევას, სამართლის ძეგლების მოძიებას, შესწავლასა და წარმოჩენას მიუძღვნეს.

მიხეილ კეკელიასადმი მიძღვნილი წიგნისა და ხუთტომეულის შესახებ გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის ისტორიისა და თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი გოჩა ფერაძე:

**– ბატონო გოჩა, რატომ შეირჩა ხუთტომეულისთვის მიხეილ კეკელიას შემოქმედება და ვის ეკუთვნოდა ამ გამოცემის ინიციატივა?**

– სამართლის ისტორიკოსთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულის მეხუთე წიგნის მომზადებისა და გამოცემის ინიციატივა ამჯერადაც, ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს ეკუთვნის, ცხადია, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით. სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ პროექტში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა, ყოველი ახალი წიგნის გამოსვლასთან ერთად, სულ უფრო იზრდებოდა და ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. წინამდებარე კრებულის მომზადებასა და გამოცემაში 60-ზე მეტმა ქართველმა მეცნიერმა, პრაქტიკოსმა იურისტმა თუ, უბრალოდ, პროფესორ მიხეილ კეკელიას პიროვნების, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის დამფასებელმა მიიღო მონაწილეობა. პროფესორ მიხეილ კეკელიას ბიოგრაფიასთან, მის შესახებ ოჯახის წევრების, სტუდენტების, კოლეგების სევდანარევი და საინტერესო მოგონებებთან ერთად, წიგნს თან ერთვის ქართველი მეცნიერის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამსახველი, მაქსიმალურად სრულყოფილი ბიბლიოგრაფია.

**– რა განაპირობებდა ბატონი მიხეილისადმი სტუდენტების, კოლეგების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას?**

– ჩემთვის და ბევრი ჩემი მეგობრისა და კოლეგისთვის, მართლაც, უდიდესი ბედნიერება იყო, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ბედმა ამ რანგის პროფესიონალთან ურთიერთობის სიხარული გვარგუნა, მის სამეცნიერო, პედაგოგიურ თუ ადამიანური სიბოძის მაღალ გვაზიარა. ბატონი მიხეილი იყო პიროვნება, ვისი ცხოვრების გზაც ბევრჯერ ტაძრისკენ სავალი საცაღფეხო ბილიკისთვის შემდარებია, რომლის არსებობასაც „საბჭოთა აღმშენებლობის“ წლებში ბევრი ვერ ამჩნევდა, კომუნისტური იდეალებით „შთაგონებულებს“ არც ახსენდებოდათ. საბედნიეროდ, დრომ ყველას და ყველაფერს კუთვნილი ადგილი მიუჩინა და კიდევ ერთხელ დავგარწმუნა, რომ ღირსების გზით სიარული ნებისმიერ, მათ შორის, საბჭოთა ეპოქაშიც შესაძლებელია. თუმცა, რჩეულთა ხვედრია.

**– რით არის საინტერესო იურისტთა ახალი თაობისთვის, როგორც თქვენ მოიხსენიებთ მიხეილ კეკელიასეული „საცაღფეხო ბილიკი“?**

– არაერთი თვალსაზრისით, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, გამორჩეულია როგორც საქართველოს პატრიოტი, როგორც პრაქტიკოსი იურისტი და როგორც მეცნიერი. მან 1951 წელს დაამთავრა რა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და საკუთარი მომავალი საპატიო, თუმცა, იმავდროულად, ურთულეს საპროკურორო საქმიანობას დაუკავშირა. მან ღირსეულად გაიარა გზა სახალხო გამოძიებლიდან რაიონის პროკურორამდე და რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწემდე, საგანგებო დავალებების ხაზით. თუმცა, უნივერსიტეტთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. საგულისხმოა, რომ პროკურორმა კეკელიამ კვლევის საგნად აირჩია არა სისხლის სამართლის რომელიმე ნაკლებად დამუშავებული საკითხი, არამედ ქართული სამართლის ისტორია. დარგი, რომელიც, კიდევ ერთი დიდი მოძღვრის, პროფესორ გიორგი ნადარეიშვილის შეფასებით, სტალინურ ეპოქაში „ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაში იყო, რადგან „ისტორიზმით“ გატაცება ცოდვად ითვლებოდა“. მისი ეს გადაწყვეტილება ერთი მთლიანის განუყოფელ ნაწილად წარმოგადგებათ, როდესაც შეიტყობთ, რომ 1965 წელს წარმატებით დაიცვა რა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართლ-კახეთის სამეფოს სასამართლო ორგანიზაცია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში“, სამოხელეო კარიერის მწვერვალზე მყოფმა, გადადგა ბევრი მისი კოლეგისთვის მოულოდნელი ნაბიჯი – წამოვიდა პროკურატურიდან და ცხოვრების დარჩენილი ნაწილი მთლიანად სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას მიუძღვნა.

**– რამდენად წარმატებული იყო მისი მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზე?**

– პირველ რიგში გამოყოფდი მის დაინტერესებას ქართული სამართლის ძეგლებით. ბატონმა მიხეილმა წერილების მთელი სერია მიუძღვნა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს (შემადგენლობის, ცალკეული მუხლების თავდაპირველობის, დაკარგული მუხლების აღდგენის საკითხებს და ა.შ.), ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნისა და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ ცალკეულ მუხლებს, ადიშისა და მესტიის ოთხთავის მინაწერებს და სხვა. ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი მიხეილის მრავალნაირი თანამშრომლობა საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციასთან, რომლის შედეგია ამ ისტორიულ გამოცემაში შემონახული პროფესორ მიხეილ კეკელიას 20-ზე მეტი წერილი,



მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ტერმინებზე, როგორიცაა: ბჭე, განმგებელი, გერში, მონაცვლე კაცი, მსაჯულთშეკრებულება, ნაზირი, ნაცვალი, საჭირნახულო და სხვა.

სამწუხაროდ, დღემდე არ არის შესწავლილი და შეფასებული პროფესორ მიხეილ კეკელიას პუბლიცისტიკა. მის მიერ როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ (სამტრედია, ზუგდიდი, მესტია და სხვ.) ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ათეულობით უაღრესად საინტერესო წერილი – დანყებული იმერეთის სამეფოში სოლომონ I-ის „ფიცის კაცის“ ინსტიტუტით, გაგრძელებული საუნივერსიტეტო ავტონომიის სრულყოფის საკითხითა და დამთავრებული გასული საუკუნის მიწურულს ქვეყანაში არსებული უმწვევკის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის პრობლემებით. აღარაფერს ვამბობთ ჩვეულებით (სახალხო) სამართალზე, სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხებზე, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, დანაშაულისა და სასჯელის ცნებების გამოხატველ ტერმინებზე და სხვა იმ საკითხებზე, რომელზეც ბატონ მიხეილს მონოგრაფიები აქვს გამოქვეყნებული. სულ კი, როგორც ეს ჩვენ მიერ მე-V წიგნისთვის თანდართულ ბიბლიოგრაფიაშია ასახული, ბატონი მიხეილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა 160-ზე მეტ პირველხარისხოვან სამეცნიერო ნაშრომს, მონოგრაფიას, სახელმძღვანელოსა თუ საგაზეთო წერილს მოიცავს.

**– ამ დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან რომელ შრომებზე გაამახვილებით ყურადღებას?**

– პირველი აღიარება ქართველ მეცნიერს 1970 წელს გამოცემულმა წიგნმა-შედეგმა – „სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ“ (წიგნი I (ქართლ-კახეთის სამეფო)) – მოუტანა. მათე წლისთავზე კი ეს წარმატება 1981 წელს გამოსულმა ასევე სასამართლო ორგანიზაციისა და სასამართლო პროცესის საკითხებისადმი (ოლონდ დასავლეთ საქართველოში) მიძღვნილმა მე-II წიგნმა გაამყარა. შესანიშნავმა გამოცემებმა უკვე გაუძღეს დროის გამოცდას და, ქართველ იურისტთა შეფასებით, სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი ქართული სამართლის ისტორიის საგანძურში.

**– თქვენს ბიოგრაფიულ წერილში ბატონ მიხეილს ქართული ჩვეულებითი (სახალხო) სამართლის მეცნიერული**

**კვლევის მებაღეად მოიხსენიებთ, რატომ?**

– კარგი შეკითხვაა და პასუხი ერთ უნიკალურ მოვლენას მინდა დავუკავშირო. საქმე ის გახლავთ, რომ 1986 წელს, უამრავი ბიუროკრატიული თუ პოლიტიკური დაბრკოლების მიუხედავად, აკადემიკოსების – ალექსი რობაქიძისა და გიორგი ჩიტაიას მხარდაჭერით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სწორედ პროფესორ მიხეილ კეკელიას წარმოდგენილი ძალისხმევით შედეგად შეიქმნა (ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და, შესაძლოა, მთელ ევროპაში) ერთადერთი ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორია. ცნობილია, რომ ბატონი მიხეილი ჩვეულებითი სამართლის შესწავლად მოწყობილ ექსპედიციებში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან მონაწილეობდა. თუმცა, ლაბორატორიის ამოქმედებასთან ერთად, მის ცხოვრებაში (მართალია, გვიან – ბატონი მიხეილი გარდაიცვალა 1993 წელს, მაგრამ მაინც) დგება დიდი ხნის ნანატრი შემოქმედებითი, მეცნიერული ოცნებების ასრულების ხანა. მონდომებამ, თავდაუზოგავმა შრომამ გასაოცარი შედეგები გამოიღო. თავის აღზრდილებთან და თანამოაზრეებთან, დღეს უკვე ცნობილ მეცნიერებთან თუ პრაქტიკოს იურისტებთან: გიორგი დავითაშვილთან, დავით ელისაშვილთან, ოთარ ზოიძესთან, ჯამლეთ მერებაშვილთან, დავით ჯალაბაძესთან ერთად, მან მთელი საქართველო ფეხდაფეხს შემოიარა. სწორედ ამ ექსპედიციების დროს მოძიებული და საქართველოს მთასა თუ ბარში, მთელ ერში მიმოფანტული „ჩვეულებითი სამართლის მარგალიტების“ შეგროვების გზით შეიქმნა ის უძვირფასესი საგანძური, რომელსაც დღეს ქართული ჩვეულებითი სამართლის ოთხტომეული შექვია. პირველი სამი ტომის რედაქტორი ბატონი მიხეილი თავადვე იყო, ხოლო მეოთხე ტომი კვლავ მისი რედაქტორობით, მაგრამ, უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, 1993 წელს მისმა მოსწავლეებმა გამოცვეს.

ერთადერთი, რაც აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა დავძინოთ, არის ის, რომ ახლოვდება ბატონი მიხეილის დაბადებიდან საიუბილეო 100 წლისთავი (21.09.2027წ.) და საჭიროა ძალისხმევა არ დავიშუროთ, რათა ექსპედიციის დღეებში მოძიებულმა (როგორც თავად ბატონი მიხეილის არქივში დავანებულმა, ისე ექსპედიციის სხვა წევრებთან შემორჩენილმა) დღემდე გამოქვეყნებულმა მასალებმა ქართული ჩვეულებითი სამართლის მეხუთე ტომის სახით აუცილებლად იხილოს დღის სინათლე.

**– დაბოლოს, რას გვეტყვით ბატონი მიხეილის პედაგოგიურ საქმიანობაზე?**

– ეს პროფესორ მიხეილ კეკელიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილია. როგორც მისმა სტუდენტმა, თამამად შემოძლია განვაცხადო, რომ ალგვარადა რა ქართველ იურისტთა არაერთი თაობა, ათწლეულების განმავლობაში, სამართლის ისტორიასთან ერთად, იმ „პატრიოტული ნაღვერდის“ სითბოსაც გვიზიარებდა, რომლის მნიშვნელობაც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში დღესაც და მომავალშიც განუსაზღვრელად დიდია. ის გვასწავლიდა არა მარტო საგანს, არამედ სამშობლოს სიყვარულს, ერთმანეთის სიყვარულს, მშობლების სიყვარულს და, უნდა ითქვას, ეს არაჩვეულებრივად გამოსდიოდა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ გულწრფელი იყო ყველასთან, როგორც შვილი, როგორც ოჯახის მამა, როგორც პედაგოგი და კოლეგა.



# ვინ დააჯილდოვა სამინისტრომ უნივერსიტეტიდან მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღის აღსანიშნად?

მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღის აღსანიშნად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ალექსანდრე წულაძის მიერ დაჯილდოებულ 10 წარმატებულ მეცნიერ ქალთა და მოსწავლე-გამომგონებელ გოგონათა შორის 3 დაჯილდოებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდანაა.

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**, ისტორიკოსი, ეთნოლოგი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი **როზეტა გუჯეჯიანი** და თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის დოქტორანტი **ნინო უგრეხელიძე** მეცნიერულ წიაღსვლებში სწორედ ის დანიშნულებული ქალები არიან, რომლებსაც სამინისტრომ წარმატების აღმნიშვნელი სიგელები და ჯილდო გადასცა.

მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღეს მსოფლიო 11 თებერვალს აღნიშნავს, რომლის მთავარ მიზანს მეცნიერი ქალების წახალისება და თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობა წარმოადგენს განათლებისა თუ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. თუ თვალს გადავავლებთ თსუ-ს ისტორიას, ნათლად ჩანს, რომ მეცნიერებაში ქალების ჩართულობის პროცესი უწყვეტია და აქ წარმატება განისაზღვრება არა გენდერთ, არამედ ცოდნით, ნიჭითა და შრომისმოყვარეობით.

„მეცნიერ ქალთა საერთაშორისო დღე საქართველოში წელს მეათედ აღინიშნა და მეათედ დაჯილდოვდნენ მეცნიერი ქალბატონები. ცხადია, რომ მათ

რიცხვში ჩემი აღმოჩენა სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ, ჩემი აზრით, წარმატებული სამეცნიერო საქმიანობისთვისაც მიღებული ეს ჯილდო ჩემს პირად წარმატებაზე მეტად ქალთა მეცნიერული საქმიანობის მხარდაჭერის გამოხატულება უფროა...“ – განაცხადა თსუ-ს პროფესორმა **დარეჯან თვალთვაძემ**, რომელსაც მიაჩნია, რომ ასეთი მხარდაჭერა მოტივაციას აძლევს ახალგაზრდა ქალებს (ზოგჯერ ჯერ კიდევ გოგონებს) – თავიანთი მომავალი მეცნიერებას დაუკავშირონ და წარმატების იმედიც ჰქონდეთ.

თსუ-ს ასოცირებული პროფესორისთვის **როზეტა გუჯეჯიანისთვის** ეს ჯილდო არა მარტო მისი მეცნიერული წვლილის აღიარებისა და დაფასების გამოხატულებაა, არამედ უკავშირდება ქართული ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის სამეცნიერო სკოლის დამსახურების კიდევ ერთხელ წარმოჩენას.

„საქართველოში მუდამ ანიჭებდნენ მნიშვნელობას ქალთა განათლებას და კულტურის ეს ნიშანი ოდითგანვე ტრადიციული ქართული კულტურის ნაწილია. მიხარია ჯილდო, რადგან დადებითად შეფასდა არა მარტო ჩემი, როგორც პიროვნების, მეცნიერული წვლილი, არამედ წარმოჩინდა ქართული ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის სამეცნიერო სკოლის დამსახურება.

სამინისტროსა და რუსთაველის ფონდის მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერა დიდი სტიმულია მეცნიერთათვის. მაღლობელი ვარ და, ბუნებრივია, შევეცდები კიდევ უფრო მეტი ძალა და ენერჯია მოვახმარო საყვარელ პროფესიას – ვიკვლიო ქართველთა ტრადიციული კულტურა, თანამედროვე სოციო-

კულტურული პროცესები, ქართულ-ევროპული კულტურული პარალელები“, – აღნიშნა თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა როზეტა გუჯეჯიანმა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ჯილდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელისთვის, **ნინო უგრეხელიძისთვის**, ძალიან საპატიო და დიდი მოტივაციის მიმცემია: „ამავე დროს, ეს ჯილდო ჩემთვის ერთგვარი ვალდებულებაა – მეტი მონდომებითა და ძალისხმევით გავაგრძელო კვლევა და სამეცნიერო საქმიანობა. მჯერა, რომ ქალების მხარდაჭერა მეცნიერების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია, ისტორიაც ადასტურებს ჩვენს როლს ამ საქმეში. მხარდაჭერა, თანასწორი შესაძლებლობები და სწორი მაგალითების წარმოჩენა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრესული სამეცნიერო საზოგადოების არსებობას. ვისურვებდი უფრო მეტ ქალს მეცნიერებაში, რომ კიდევ უფრო მეტ ქალს ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა – გადადგას პირველი ნაბიჯები ამ სფეროში. ამ დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ წარმატების საფუძველი არის შრომა, ინტერესი და მუდმივი განვითარება. ამიტომ, ვუსურვებ ახალგაზრდა მეცნიერ ქალებს – არასოდეს შეწყვიტონ ძიება და მიზნისკენ სვლა“, – ასეთია **ნინო უგრეხელიძის** განაცხადი და სურვილი – შეუქმნათ ახალგაზრდა ქალებსა და გოგონებს მეტი პირობა, რათა მათ შეძლონ მეცნიერების ნებისმიერ სფეროში საკუთარი უნარებისა და იდეების რეალიზება.

თბილისის უნივერსიტეტი 1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი  
ნინო კაკულია  
მთავარი სამცხალისტი  
მაია ტორაძე  
ტექნიკური რედაქტორი  
ირმა სულიაშვილი

შპრნალისტი:  
თამარ დადიანი  
შურთხია ბეროშვილი  
ნინო ჩარკვიანი

ფოტოკორესპონდენტი  
გიზო ყუფარაძე  
კობა. უზრუნველყოფა  
მიხეილ თვარაძე

რედაქციის წევრები:  
მანანა შამილიშვილი,  
იაგო კაჭკაჭიშვილი,  
ირმა რატიანი,  
ირინე დარჩია,  
თინათინ ბოლქვაძე,  
ვლადიმერ პაპავა,  
ეთერ ხარაიშვილი,  
რევაზ გველესიანი,  
ეკატერინე ფირცხალავა,  
ნინო განჩილაძე,  
თემურ ნადარეშიძე,  
ლელა ჯანაშვილი,  
მაია ივანიძე,  
მამუკა მარგველაშვილი,  
გია ლობჯანიძე,  
ნინო უგრეხელიძე

მისამართი:  
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ა  
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)  
☎ 577 52 77 73  
ვებგვერდი:  
gazeti.tsu.ge  
ელ.ფოსტა:  
nino.kakulia@tsu.ge

gazeti.tsu.ge  
გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ გაჭურვილი სახით გამოიცავს.

ახალი ყოველდღიურ ჩვენს ვებ-გვერდს  
gazeti.tsu.ge

მოგვაცოდით ინფორმაცია გასაუქმებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სინსულაბს

